პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით
წლიწადი მეორე

კომუნისტი

ს. კ. პ. ცენტრ. და თბილისის კომიტეტის და საქარ. მ., გ., წ.-არმ. და მატროსთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ორგანო

რედაქცია: თბილისი, კრუზენშტერნის ქ. № 4.
მთავარი კანტორა: ტფილისი, რუსთაველის პრ., № 24 (მე 2 სართული).

რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დილის 10-2 საათ. მდე. ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14 76 რედაქციის № 19 საერ. №

ხელის მოწერის თვიური ფასი შემდეგია: პარტიულ ორგანიზაციებისა და პროფკავშირებისათვის მიტანით: ქალაქში—140 ათასი მანეთი, პროვინციაში—180 ათ. მ. ყველა დანარჩენ ხელის მომწერთათვის მიტანით: ქალაქში 200 ათ. მ. პროვინციაში 240 ათასი მ. განცხადებ—10 ათ. მ. ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 300 ათასი მ. ტელეფონის № კანტორისა № 5—43.

ფასი 10,000 მან.
პროვინციაში 12,000 მან.

№ 112 პარასკევი, 19 მაისი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი პარასკევი, 19 მაისი 1922 წ. № 112

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენუიდან ჰააგისკენ

გენუის კონფერენცია დასრულდა. საჭირო არ არის ვუცადოთ ოფიციალურ ცნობას ამის შესახებ, რომელსაც ამუშავებენ მისი მომწვევნი, რომ ეს ითქვას უკვე გადაჭრით. რუსეთის საკითხი უნდა გადაეცეს კომისიებს, რომლებიც ივნისის ბოლო რიცხვებიდან გააგრძელებენ რუსეთის საკითხის „ღეჭვას" უკვე ჰააგაში. შემდეგი კონფერენცია კი განზრახულია სექტემბრისათვის, როგორც ამის შესახებ გვაცნობებს რადიო. გენუიამ ვერ მოაგვარა უმთავრესი საკითხი ევროპის ეკონომიური აღდგენის პრაქტიკული გეგმის გამომუშავებისა, რომელიც არის უმთავრესათ და პირველ ყოვლისა საკითხი ბურჟუაზიული ქვეყნების დამოკიდებულების შესახებ ოქტომბრის რევოლიუციისაგან შექმნილ ურთიერთობასთან რუსეთში, რამდენადაც ეს ვერ გადასჭრეს მათ წინეთ იარაღით ხელში და იძულებული არიან შეიმუშავონ ერთნაირი მოდუსი მასთან თანამშეწყობის. ამნაირათ იტალიაში დანიშნული „პაემანი" გათავდა უშედეგოთ, ყოველ შემთხვევაში იმ აზრით, რომ მან ვერ მიაღწია ევროპის იმპერიალისტური ყაჩაღების მიერ განზრახულ რუსეთის დამონებას ეკონომიურათ და პოლიტიკურათ, რომელ ნიადაგზეც მათ აქვთ წარმოდგენილი ევროპის მეურნეობის „აღდგენა". მაგიერათ მან წინ წასწია და კიდევ უფრო გააღრმავა განხეთქილება ანტანტაში, მოგვცა რუსეთ გერმანიის ხელშეკრულება, მოახდინა რამოდენიმეთ იზოლიაცია საფრანგეთ ბელგიის, რომლებიც ადგანან შეურიგებელ პოზიციას რუსეთის საკითხში. ამ მხრივ მართალი იყო თვით ოფიციალური ვერსიაც გენუის კონფერენციის შედეგების შესახებ, რომელსაც იძლეოდა აგერ წინაზე საფრანგეთის დეპეშათა სააგენტო.

გენუის კონფერენცია დამარცხდა, მან ვერ გაიღო ის ნაყოფი, რომელსაც მისგან მოელოდნენ, იმის გამო, რომ იქ შეკრებილი ბურჟუაზიული მთავრობები არასფერს არ სთმობენ მათი ქვეყნების კაპიტალისტთა ვიწრო წრეების ეგოისტურ ინტერესებიდან. ევროპის ეკონომიური აღდგენა შეუძლებელია უ რუსეთოთ—ეს დებულება შეიქნა საერთო კუთვნილებათ და გასაგები ყველასათვის. რუსეთის ნედლ რესურსებს და საქონლის მოსათავსებელ უდიდეს ბაზარს მოკლებული ევროპა ეკონომიური გაპარტახების გზით მიდის. ეს მდგომარეობა საზარალოა კაპიტალისთვის, ის კიდევ უფრო აუტანელია გაღატაკებული ხალხების ფართო მასებისათვის. საქმის ასეთი მიმდინარეობა უნდა შეიცვალოს. ყველა დაინტერესებულია ამიტომ რუსეთთან ნორმალურ ურთიერთობის აღდგენაში. მაგრამ საბჭოთა რესპუბლიკების საზღვრებს გარეთ პოლიტიკური ძალაუფლება ხელთ უპყრია კაპიტალისტთა კლასების რწმუნებულებს, მათ პოლიტიკოსებს და დიპლომატებს.

რუსეთის რევოლიუციამ გააუქმა მათი კერძო საკუთრება რუსეთში და ისინი მოითხოვენ ამ უფლების აღდგენას, ესე იგი დიდი რევოლიუციის მონაპოვართა გაუქმებას, საბოლოოთ კი რუსეთის მთელ დღევანდელ ეკონომიურ-პოლიტიკური რეჟიმის მოსპობას და მხოლოდ ამ ნიადაგზე სურთ მათ „ნორმალური" ეკონომიური ცხოვრების აღდგენა. რადგან ამ თვითმკვლელობას ვერ მოახდენს საბჭოთა ხელისუფლება, ცხადია თავის განუსაზღვრელი მადისათვის კაპიტალისტები კვლავ აფერხებენ ქვეყნის ეკონომიურად აღდგენის საქმეს, რამდენადაც ეს საზოგადოდ მოსახერხებელია მათი ბატონობის ხანაში. ამნაირად მათი ეგოისტური ინტერესები შეიქნენ მიზეზად ეკონომიური რღვევის და ხალხთა გაჭირვებული მდგომარეობის განხანგრძლივებისა. მიუხედავათ მრავალმხრივ დათმობათა, რომლებზედაც წავიდა საბჭოთა დელეგაცია გენუაში, შეთანხმება ვერ მოხერხდა; წყეული კითხვები კვლავ კომისიებმა უნდა სჯიჯგნონ და ქექონ ლონდონში მოგროვილი და გენუაში შევსებული „საექსპერტო" მასალები.

ევროპის პროლეტარიატს ერთხელ კიდევ ეძლევა თვალსაჩინო მაგალითი იმისა, რომ ბურჟუაზიის საკუთრებრივი ეგოიზმი კვლავ აფერხებს მსოფლიოს მეურნეობის აღდგენასა და განვითარებას. რომ, მას შემდეგ რაც მან დაიქცია ევროპა, ის ახანგრძლივებს ქვეყნების აოხრებულ მდგომარეობას, დასაწყისშივე გუდავს მისი რამოდენიმეთ მაინც შესაძლებელი გამობრუნების საშუალებას. მაგრამ პირობები, რომლებიც შეიქნა ევროპაში, აუტანელია. ასე თუ ისე, რუსეთის დაპყრობით თუ მასთან შეთვისებით, კითხვა უნდა გადაიჭრას. არც ერთი ეს არ მოხერხდა გენუიაში. ბრძოლა, რომელიც იქ სწარმოებდა დროებით გათავდა. ორივე მხარე თავ-თავის პოზიციებზე დარჩენ. კომისიებს, რომლებიც უნდა შეიკრიბნენ ჰააგაში, საქმე ექნებათ იმავე „წყეულ კითხვებთან", რომლებმაც იმსხვერპლეს გენუის კონფერენცია რასაკვირველია, ადგილის გამოცვლა ვერ შეანელებს მათ სიმწვავეს. კაპიტალისტური მთავრობები მუქარაზე გადადიან. კომისიების შეკრებამდე მათ სურთ გავლენა მოახდინონ რუსეთზე, ახალი კომბინაციები შექმნან თავის სასარგებლოთ, რათა ის, რაც მათ ვერ მოახერხეს გენუაში, მიიღონ ჰააგაში. ევროპას უხდება კვლავ ისევ ლოდინი.

ცხადია მდგომარეობა ყველგან ძნელია და, რასაკვირველია, საბჭოთა რესპუბლიკებშიც. მაგრამ თუ როდისმე ყოფილა ბრძოლაში ჩაბმულებისათვის სამხედრო ოპერაციების გადადება და დაცდა, თუ როდისმე შეეძლია დროს იმუშაოს რომელიმე მებრძოლი მხარესათვის, ეს ითქმის დღევანდელ ვითარებაზე და საბჭოთა რესპუბლიკებზე. თავთავის ქვეყნებში ხელცარიელი დაბრუნება გენუიაში დაშლილი კონფერენციის ბურჟუაზიული მონაწილეების, სათანადო ეფექტს მოახდენს ხალხის ფართო მასებზე, რომლებიც ერთნაირი იმედით შეჰყურებდენ ამ კონფერენციის შედეგებს. ისინი გაიგებენ დაბოლოს ვისი მიზეზით ჩაიშალა პირველი ცდა დანგრეული ცხოვრების გამოსწორების და ვის ეგოისტურ ინტერესებს შეეწირა ის დიდი საქმე, რომელზედაც მას ჩასჩიჩინებდნენ ერთი თვის განმავლობაში.

საბჭოთა რესპუბლიკების პროლეტარიატი და მთელი მშრომელი ხალხი ღირსეულად დააფასებს თავიანთ დელეგაციის ენერგიას და მუშურ-გლეხური საქმის მედგარ დაცვას, რომლის მაგალითი მოგვცეს ჩვენმა ამხანაგებმა გენუიაში. დათმობა, რომელზედაც წავიდა ის, მტრების ბანაკში შეჭრილი, არის მაქსიმუმი, ჩვენი რესპუბლიკების სუვერენულ უფლებათა ფარგლებში და ამ პოზიციიდან საბჭოთა ფედერაცია ნებაყოფილებით ფეხს არ მოიცვლის. ასე იყო გენუიაში, ასევე იქნება ჰააგაში.

ესერების პროცესი

ამ დღეებში მოსკოვში დაიწყება ესერების პროცესი, იმ ესერების, რომლებიც საზღვარგარეთელ კონტრ-რევოლიუციონერების დახმარებით აწყობდენ ათასგვარ ტერორისტულ აქტებს საბჭოთა რუსეთის საუკეთესო მეთაურების წინააღმდეგ და მით ლამობდენ მუშებისა და ღარიბი გლეხობის დიქტატურის დამხობას.

მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ, ფარდა აეხადა მათ ბინძურ და ბნელ ზრახვებს და დღეს ისინი იმყოფებიან მსოფლიოს რევოლიუციონურ პროლეტარიატის ავანგარდის სამსჯავროს წინაშე.

ჩვენ მარქსისტებს, არასდროს არ გვწამდა მათი ჭეშმარიტი რევოლიუციონერობა. მართალია ისინი იბრძოდნენ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ და რამდენათაც ასეთ ბრძოლას აწარმოებდენ იმდენათ იყვნენ რევოლიუციონერები, მაგრამ იბრძოდენ მხოლოდ ამ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ და არა საზოგადოთ ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ეს ნათლად დაამტკიცა მათმა მუხანათურმა მოღვაწეობამ ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ.

რასაკვირველია ამას არ შეეძლო არ გამოეწვია ერთგვარი პროტესტი ამ პარტიის დაბალფენებისაგან, და ჩვენ უკვე აშკარათ ვხედავთ თუ როგორ ჩამოეცალა მას მუშათა და გლეხთა ის მასები, რომლებიც პირველ ხანებში, სანამ ამ პარტიის მეთაურებს პირდაპირ არ გამოეაშკარავებიათ ჯერ კიდევ თავისი გამცემლური ბუნება, ბრმათ მიყვებოდენ მას.

ტყვილათ კი არ ვუწოდებდით ჩვენ მათ ჯერ კიდევ ძველათ სოციალ-რეაქციონერებს, რომელსაც ღრმა მეცნიერულ შინაარსს ვუდებდით სარჩულათ. ჩვენი ეს წინასწარმეტყველება სავსებით გაამართლა დღევანდელმა მათმა ქცევამ.

დღეს ყოველი მუშა და გლეხი სავსებით და საბოლოოთ დარწმუნდება იმაში, თუ ვინ არიან ეს ვაჟბატონები, ვის ინტერესებს ემსახურებიან ისინი და ვისი კარნახითა და რჩევა-დარიგებით ეწევიან შავ-ბნელ ბინძურ მუშაობას რევოლიუციონური მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ, რომლებიც განაწამები არიან ბნელი ძალების ათასგვარი თავდასხმისაგან.

თუ წინეთ კიდევ სავსებით არ იყო ცხადი და აშკარა ის გამცემლური და მუხანათური როლი, რომელსაც თამაშობდენ ესერები დენიკინის, იუდენიჩის, კოლჩაკის, სემიონოვისა და სხვა შავი რეაქციის მოციქულთა თავდასხმაში რუსეთის რევოლიუციონურ მშრომელ მასების წინააღმდეგ, რომლებიც სისხლისაგან იცლებოდენ უსწორო ბრძოლაში მუშათა რევოლიუციის მონაპოვართა დასაცავათ, დღეს, როდესაც უკვე გამომჟღავნებულია საქვეყნოთ მათი „გმირული" საქმეები თვით ზოგიერთი ესერის აღიარებიდანაც, ნათელი ხდება ყველასათვის თუ რას აკეთებდენ მთელი ხუთი წლის განმავლობაში მშრომელი ხალხის ეს აშკარა მტრები, როგორ მჭიდრო კავშირი ქონდათ მათ რუსეთისა და საზღვარგარეთის შავ კონტრ-რევოლიუციონერებთან და რამდენი სისხლის სამართლის დანაშაული ჩაუდენიათ მათ თავიანთი ბნელი ზრახვების განსახორციელებლათ.

დღეს მათ ასამართლებს საერთაშორისო რევოლიუციონური პროლეტარიატი ამ საგმირო მოღვაწეობისათვის და შესაფერ განაჩენსაც გამოუტანს მას.

დღეს ჩაესობა მათ უკანასკნელი სასიკვდილო ლახვარი მათივე ახლო მეგობრების თანადასწრებით, იმ მეგობრების, რომლებიც მუდამ და ყოველთვის გამოდიოდენ მათ დამცველებათ ბოლშევიზმის „უხეში ძალდატანების" წინააღმდეგ და მით ათასგვარ სპეკულიაციას ეწეოდენ დასავლეთ ევროპის მუშათა კლასში თავიანთი შეთხელებული კაპიტალის გასაზრდელათ.

მართალია, ამ პროცესით არ იფხვრება ძირ ბუდიანათ შინაური და გარეშე კონტრ რევოლიუცია, მისი ამოფხვრა შეუძლია სავსებით მხოლოთ საერთაშორისო პროლეტარულ რევოლიუციას, მაგრამ ძალზე ეკვეცება ფრთები სოციალ-შემთანხმებლების იმ ვერაგულ და გამცემლურ აგიტაციას, რომელსაც აწარმოებენ ეს ვაჟბატონები დიდან პროლეტარულ რევოლიუციის დაწყებისა.

დღეიდან ყოველი მუშა და გლეხი კარგათ გაუსინჯავს კბილს ყოველ მათ მიერ ნათქვამ სიტყვას და საკადრის ადგილს მიუჩენს მათ.

ხ. ანდრიაძე.

ესერების პროცესის გამო

მოსკოვი. 17 მაისი. (რადიო) იუსტიციის სახალხო კომისარმა კურსკიმ მიიღო 2 და 2 ნახ. ინტერნაციონალთან არსებულ დამცველთა ჯგუფისაგან შუამდგომლობა, რათა კობიაკოვის მაგივრად დაინიშნოს ესერების ცეკას წევრი ზეხზინოვი. კურსკიმ დეპეშით გადასცა ბერლინში კრესტინსკის საშუალებით თავისი თანხმობა.

მოსკოვი. 17 მაისი (რადიო) „პრავდის" დღევანდელ მოწინავე წერილში ამხ. ტროცკი ანალიზს უკეთებს ესერების პარტიას, მათზედ მომავალ პროცესის გამო. ის სწერს, რომ რევოლიუციონური გმირობის მატარებელი ყოველთვის იყვნენ ესერების პარტიის დაბალი წრეები. ამ პარტიის მაღალი წრეები ჯერ კიდევ 1917 წ. გვევლინებოდენ ბურჟუაზიის პირდაპირ აგენტებად. იმათ შეგნებულად და საქმიანად გამოიყენეს ეს რევოლიუციონური ენერგია, როგორც კონტრ-რევოლიუციის იარაღი. შემდეგ ამხ. ტროცკი სწერს:

„ჯერ კიდევ ამ საუკუნის დასაწყისში პლეხანოვი უწოდებდა ესერებს რეაქციონერ სოციალისტებს. ეს იყო სწორი გამოთქმა იმ აზრით, რომ ხაზს უსვამდა წვრილ ბურჟუაზიულ რეაქციონურ ელემენტებს და მათ მსოფლმხედველობას, რომლებიც ემუქრებოდენ პარტიას გადექციათ და ბოლოს მართლაც გადააქციეს ის ბურჟუაზიულ კონტრ-რევოლიუციის იარაღად: ვინაიდგან წვრილი ბურჟუაზია, როცა ის შორდება პროლეტარიატს აუცილებლად ხდება მსხვილი ბურჟუაზიის იარაღად. მაგრამ მონობის და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში ეს პარტია თამაშობდა რევოლიუციონურ როლს. მაშინდელ ხანაში ვეებერთელა უფსკრული ჰყოფდა პეტერბურგის ახალგაზრდა ფეიქარს—ესერს,— რომელიც მზად იყო თავის სიცოცხლე მუშათა კლასის საქმისათვის შეეწირა—იმ სტუდენტებისგან და ავქსენტიევისებურ ინტელიგენტთა ტიპებიდგან, რომლებიც მაშინაც არაფრით არ განსხვავდებოდნენ საფრანგეთის წვრილ ბურჟუაზიულ რადიკალებიდგან, არაფრით, გარდა მეტი ილიუზიებითა და მცირე კულტურით.

მაშინ მარქსისტისთვისაც ნათელი იყო, რომ ეს გზები ერთმანეთს ძალიან უნდა დაშორებოდენ: მუშის, რომელიც ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულიყო ნაროდნიკულ იერისაგან და პარლამენტის მომავალ მოღვაწის, პოლიტიკურ კარიერისტის, რომელიც ჯერ არ იჩქარის განთავისუფლდეს სოციალისტურ იერისაგან.

ომმა და რევოლიუციამ დაშალა ესერების პარტია, და აჩქარებული ტემპით გამოაშკარავა მისი მეთაურების დაქსაქსვა იმდენად, რამდენადაც მომხდარი ამბები მოითხოვდნენ გარკვეულ პასუხს. ამასთან ერთად სიკვდილით დასჯა და გადასახლება განაგრძობდა თავის თავბრუ დამხვევ გავლენას სინდისიერ სუბიექტიურ-რევოლიუციონურ ელემენტების ქვევითა ფენებზე.

ეწეოდენ რა ექსპლოატაციას გმირ საზონოვის და კალიაევის სახელით ჩერნოვები და ავქსენტიევები პატიოსან თავგამოწირულ ტერორისტებს სტოვებდენ ნიულენსის განკარგულებაში. როდესაც ამ მებრძოლებმა გაიშუქეს ისტორიული ამბების აზრი, მსოფლიოს ახალ მდგომარეობაში, როდესაც ისინი დარწმუნდენ, რომ მათი ყუმბარა არსებითად იმყოფება საფრანგეთის, ინგლისის და რუმინიის ელჩების ხელში, ისინი იმდენად უფრო შეშფოთდნენ, რამდენადაც მზად იყვნენ თავგანწირულად განეგრძოთ ბრძოლა ბოლშევიზმთან იმ მეთოდებით, რომლებიც ასწავლა მათ საიდუმლოდ მუშაობის დროს ესერების პარტიამ.

„კომუნისტი" მეთაურში (ხარკოვი — სათაურით „შევკრიბოთ სიმართლე ესერების შესახებ", ეხება რა ესერების მომავალ გასამართლებას იძლევა კითხვას: „ღირს ანგარიში გაუწიოთ „იმ პოლიტიკურ ლეშს, რომელიც დაჭმულია დენიკინის, კოლჩაკის და პეტლიურის თეთრი მატლებისაგან". გაზეთი ამბობს, რომ ამ საკითხზე ყველა შეგნებულმა მუშამ და გლეხმა უნდა უპასუხოს: „არა თუ ღირს, არამედ აუცილებლად საჭიროა და უპირველესად ყოვლისა იმიტომ, რომ ამ კაცობრიობის განმათავისუფლებლად წარმოებულ შრომის დიდ და მძიმე ბრძოლაში, მკვდარი, როგორც მარქსმა აღნიშნა, ახრჩობს ცოცხალს (გამოტოვებულია). ხელახლად ფრთებს ასხამს ჩერნოვის პარტიის იმედებს. მეორე მიზეზი იმისა რომ საჭიროა სიმართლე ესერების შესახებ ნათელი გავხადოთ მთელ მსოფლიოს მშრომელთათვის, მდგომარეობს იმაში, რომ ბურჟუაზიულ ქვეყნებში სოციალ-შემთანხმებლობა და რამოდენიმედ ესეროვშჩინაც ჯერ კიდევ გამჯდარია ძვალ რბილში და თავის ხელოვნურ ტყუილებით განაგრძობენ მუშათა კლასის ჯალათების დაფარვას.

შემდეგ გაზეთი ლაპარაკობს: „მოსკოვის საბოლოო პროცესს" მიზნად არ აქვს დასახული მოჭრას ძირში ის კაპიტალისტური შტო, რომელზედაც იყრდნობა სოციალ-შემთანხმებლობა, მაგრამ მას შეუძლია ამოგლიჯოს ცრუ-რევოლიუციონური ფრაზები და დასჭრას რადიკალურ ლოზუნგების ფრთები ესერების კუდიდან. ამას ის მოახერხებს ისე, რომ ეს ამოცანა გადაწყდეს სავსებით, და რომ ესეროვშჩინა დასჯილი იქნას თავის საზიზღარ ფორმაში (გამოტოვებულია). იმიტომ, რომ რევოლიუციის მტრების გამომჟღავნება მათთვის სიკვდილს უდრის.

გენუის კონფერენცია

ჰააგის კონფერენციის გარშემო

რუსეთის პასუხი

ნაუენი, 18 მაისი. (გერმანიის რადიო). საბჭოთა დელეგაციამ თანხმობა განაცხადა მოკავშირეთა წინადადების მიღებაზე, თავის მხრივ საბჭოთა დელეგატებმა შეიტანეს ზოგიერთი დამატებანი დროებითი ზავისა და კონფერენციის ადგილის შესახებ. (კავროსტა)

რუსეთის პრობლემა

მოელიან რუსეთის პასუხს

ბერლინი. 17 მაისი. (გერმანული რადიო). მოკავშირე და ნეიტრალურ სახელმწიფოთა დელეგატები 16 მაისის სხდომაზე ელოდენ რუსეთის დელეგაციის საბოლოო პასუხს, ჰააგაში რუსეთის საკითხის შესახებ ექსპერტთა კომისიის მოწვევის შესახებ.

24 საათის განმავლობაში.

გენუა. 17 მაისი. (იტალიის რადიო). 16 მაისს დილის 10 საათ. და 30 წუთზე გაიმართა პირველი კომისიის ქვეკომისიის სხდომა ფაქტას თავმჯდომარეობით. რუსეთის დელეგაციას აცნობეს ის დადგენილებანი, რომელიც მიიღეს კომისიაში წარმოდგენილ სახელმწიფოებმა. გამოქვეყნებულ იქნა დოკუმენტი, რომელშიც რუსეთის დელეგაციას უნდა გამოეთქვა თავისი აზრი. ჩიჩერინმა პირველ ყოვლისა შეიტანა მთელი რიგი წინადადებებისა, რომელიც ეხებოდენ დოკუმენტში მოყვანილ ვალდებულებათ იმ მიზნით, რომ გამორკვეულიყო მისი ნამდვილი მნიშვნელობა. შანცერმა და სხვა დელეგატებმა ამ მუხლების შესახებ გააკეთეს დამაკმაყოფილებელი განმარტება. რაც შეეხება დოკუმენტის არსებით მხარეს, ჩიჩერინმა განუცხადა, რომ რუსეთის დელეგაცია მოკლებულია საშუალებას ამავე სხდომაზე გამოსთქვას თავისი აზრი იმ დადგენილებათა შესახებ, რომელთა შემუშავებაშიც მას მონაწილეობა არ მიუღია. ამიტომ ჩიჩერინმა მოითხოვა გადაედვათ კრება ერთი დღით. ეს წინადადება მიღებულ იქნა და სხდომა გადაიდო 17 მაისის დილამდის.

ლოიდ-ჯორჯის განცხადება.

ბერლინი. 17 მაისი. (გერმანული რადიო) ლოიდ-ჯორჯმა ინგლისელ და ამერიკელ ჟურნალისტებთან ბაასის დროს განაცხადა, რომ რუსეთის პასუხი წამოყენებულ წინადადებათა შესახებ ალბათ სავსებით იქნება მიღებული.

რუსეთის დახმარება.

ბორდო. 17 მაისი. (ფრანგული რადიო). ნანსენმა ერთა ლიგის საბჭოს სხდომაზე მოითხოვა ეპიდემიასთან მებრძოლი განსაკუთრებული კომისიის დაარსება და მისი რუსეთში გაგზავნა. ბალფურმა შეიტანა წინადადება იმ ცნობათა სისტემატიზაციის შესახებ, რომელიც მოდის რუსეთიდან და რუსეთის შესახებ.

პარიზი. 17 მაისი. (ფრანგული რადიო) ერთა ლიგის საბჭომ მოისმინა რა ნანსენის მოხსენება დაადგინა გადასცეს იგი განსახილველად გენუის კონფერენციას.

ამერიკის პოზიცია

ამერიკის მთავრობის პასუხი.

გენუა. 17 მაისი (იტალიის რადიო). შანცერმა მიიღო ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შემდეგი პასუხი, რომელიც გადაცემულ იქნა ამერიკის ელჩის ჩაილდის მიერ:

—„თქვენო აღმატებულებავ! მაქვს პატივი გაახლოთ ამასთან შემდეგი ნოტა ჩემი მთავრობისა, რომელიც ეხება თქვენ წინადადებას მივიღოთ მონაწილეობა იმ კომისიაში, რომელიც განზრახულია მოწვეულ იქნას ჰააგაში რუსეთთან მოლაპარაკების შესახებ. ჩემმა მთავრობამ დაწვრილებით განიხილა გენუის კონფერენციის თავმჯდომარის მიერ გაგზავნილი მოწვევა იმ კომისიაში მონაწილეობის მიღების შესახებ, რომელიც უნდა შეიკრიბოს ჰააგაში 15 ივნისს, თანახმად იმ პირობებისა, რომელიც აღნუსხულია კონფერენციის მომწვევ სახელმწიფოთა შეთანხმებაში.

ჩემ მთავრობას ძალიან სურს აღმოუჩინოს დახმარება რუსეთის ეკონომიურ მოთხოვნილებათა შესწავლის საქმეს და აგრეთვე გამოსთქვას იმ ღრმა მეგობრობის გრძნობა, რომლითაც გამსჭვალულია ჩრდილო-ამერიკის ხალხი რუსის ხალხისა და მის საარსებო ინტერესების მიმართ, რომელიც დაკმაყოფილებული უნდა იქნეს მისი ეკონომიური ცხოვრების აღდგენითა და იმ კეთილდღეობის შექმნით, რომლის უფლებაც მას აქვს თავის თვისებათა და რესურსების მიხედვით. ამერიკის ხალხმა უტყუარი მტკიცება მისცა იმ არა ეგოისტური ზრახვებისა, რომელთაც იგი გამსჭვალულია რუსეთის ეკონომიურ აღდგენის საქმეში. ხსენებული მთავრობა არას დროს არ გაუშვებს ხელიდან რუსეთისათვის დახმარების აღმოჩენის შემთხვევას მაგრამ ჩემ მთავრობას არა აქვს საბუთი იფიქროს, რომ მას შეუძლია სარგებლობა მოიტანოს ჰააგის კომისიაში მონაწილეობის მიღებით რამდენათაც იგი გაგრძელებაა, მხოლოდ სხვა სახელით, გენუის კონფერენციისა, რადგანაც მას წინ გადაეღობება ისეთივე დაბრკოლებანი, თუ შეცვლილი არ იქნება ის პოზიცია, რომელიც რუსეთის დელეგაციამ დაიკავა 11 მაისის მემორანდუმში.

საფიქრებელია, რომ უმთავრესი საკითხი, რომლის გვერდის ახვევაც შეუძლებელია, არის რუსეთის წარმოების აღდგენა, იმ წარმოების, რომლის უმთავრესი პირობები პირველ ყოვლისა უზრუნველყოფილ უნდა იქნეს და ლოღიკის კანონით განხორციელებულ უნდა იქნეს თვით რუსეთის მიერ, ვინაიდან ჩემი მთავრობა ფიქრობს, რომ აღნიშნული პირობები სავსებით გამორკვეულია, იგი აცხადებს, რომ მზად არის ყოველთვის შეუერთდეს იმ მთავრობათ, რომელთაც წამოაყენეს ხსენებული წინადადება, რათა მიღწეულ იქნეს შეთანხმება რუსეთის ეკონომიურ მდგომარეობის ექსპერტების მიერ შესწავლისა და მისი დახმარების საშუალებათა გამორკვევის საქმეში. ამ შესწავლამ სათანადოთ უნდა გამოარკვიოს რუსეთის წარმოების აღდგენის ეკონომიური პირობები, რომლის გამორკვევის გარეშეც შეუძლებელია რუსეთისადმი ნდობის აღდგენა. აუცილებლად მიმაჩნია ამას დაუმატო ისიც, რომ ჩემ მთავრობას სურს ძალიან სერიოზულად მიიღოს ყველა წინადადებანი, რომელთაც აყენებს გენუის კონფერენცია, ან წამოაყენებს მომავალი სხვა რომელიმე კონფერენცია, მაგრამ იგი უყურებს ხსენებულ მოწვევას, რომელიც წარმოადგენს რუსეთის 11 მაისის მემორანდუმის პასუხს, როგორც ისეთ დოკუმენტს, რომელშიაც არ არის სათანადო გარკვეულობა და სწორედ ეს გარემოება არ აძლევს საშუალებას ამერიკის მთავრობას მიიღოს მონაწილეობა განზრახულ გეგმაში. ვსარგებლობ ამ შემთხვევით, რომ განგიცხადოთ თქვენ ჩემი ღრმა პატივისცემა". ხელს აწერს: რიჩარდ უეშბორნ ჩაილდ.

გენუის სახე მიუღებელია.

პარიზი. 17 მაისი. (ფრანგული რადიო). ვაშინგტონიდან მიღებული ცნობების თანახმად სენატორ იუზმა განაცხადა, რომ ამერიკის მთავრობას, მიუხედავად მისი დიდი სურვილის, რომ ყოველის ღონით დაეხმაროს რუსეთის აღდგენის საქმეს, მაინც არ მიაჩნია შესაძლებლად მონაწილეობა მიიღოს ამ საქმეში, თუ მომავალი მუშაობაც მიიღებს გენუის კონფერენციის სახეს, რაც ამერიკისათვის ყოვლად მიუღებელია.

ბერლინი. 17 მაისი. (გერმანული რადიო). რეიტერის სააგენტოს ცნობით შეერთებული შტატების მთავრობა უარყოფითად ეკიდება ჰააგის კრებას, რასაც იგი ასაბუთებს იმით, რომ „არ სურს იქონიოს რაიმე ურთიერთობა საბჭოთა მთავრობასთან მანამდის, სანამ იგი არ იცნობს ცივილიზაციის ყველასგან სავალდებულო კანონებს". გაზეთ „ნიუ-იორკ-ჰერალდის" ცნობით, შეერთებულ შტატებს არ სურს მონაწილეობა მიიღოს მოკავშირეთა ინტრიგებში, რომელთაც სურთ ჰააგის კონფერენციით დამალონ გენუის კონფერენციის მარცხი.

უნაყოფოა.

ნაუენი. 17 მაისი. (რადიო). ამერიკელი ჟურნალისტი სიმენსი გაზეთ „სუნდეიტაიმს"-ში სწერს, რომ ამერიკის ხალხსა და მის მთავრობას სავსებით უნაყოფოდ მიაჩნიათ ევროპის საქმეებში მონაწილეობის მიღება მანამდის, სანამ ევროპა არ მიიღებს ამერიკის იდეებს, განიარაღებისა, ბიუჯეტის წონასწორობის აუცილებლობისა და საკონტრიბუციო პრეტენზიების შემოკლების შესახებ.

ბელგიის პირობები

ბრიუსელი. ბელგიის ექსპერტების თათბირმა შეიმუშავა, ბელგიის მონაწილეობისათვის, რუსეთის ეკონომიურათ აღდგენის საკითხში, შემდეგი პირობები: 1) რუსეთში წინად არსებულ სამრეწველო და სავაჭრო საზოგადოებათ უნდა დაუბრუნდეს მათი ქონება ან და მიიღონ სათანადო კომპენსაციები, 2) საბჭოთა მთავრობამ უნდა მისცეს გარანტია კერძო საკუთრების უფლებისა და ვაჭრობის თავისუფლებისა, 3) საერთაშორისო აქტის მოქმედება, რომლითაც ცნობილი იქნება რუსეთში უცხოელთა უფლებები უნდა გავრცელდეს აგრეთვე იმ წარმოებაზედაც, რომელნიც ფორმალურ იურიდიულის მხრივ ეკუთვნიან რუსებს, მაგრამ რომელშიც მატერიალურად დაინტერესებულნი არიან უცხოელები, 4) სატრანსპორტო საზოგადოებანი უნდა სარგებლობდენ რამდენათაც შესაძლებელია თავისუფლებით. მუშათა კონტროლი გაუქმებულ უნდა იქნეს, 5) საბჭოთა მთავრობამ უნდა გააუქმოს სეკვესტრისა და კონფისკაციის ზომები საკუთრივ საზოგადოებათა მიმართ—ძალზედ, 6) უცხოელთა საქმეები, რომელნიც გადასახლდებიან რუსეთში, არ უნდა ექვემდებარებოდენ რუსეთის სასამართლოს, არამედ შერეულ კომისიის სამსჯავროს, სადაც საქმის წარმოება უნდა ხდებოდეს ევროპის ტრიბუნალებში შემოღებულ პრინციპების მიხედვით.

კონფერენციის გარშემო

რუსეთის დელეგაციის შესახებ.

რომი. იტალიის გაზეთები და მასთან ერთად ფრანგული გაზეთები დიდ ადგილს უთმობიან ჩიჩერინის შეხვედრას იტალიის მეფე ვიქტორ-ემანუელთან. საფრანგეთის წვრილ ბურჟუაზიული გაზეთი „ეკო დე პარი" გადმოგვცემს ამის შესახებ შემდეგ დაწვრილებითი ცნობებს: მეფე ვიქტორ ემანუილი ავიდა რა დრედნოუტ „დანტე ალიგიერის" ბაქანზე, რომელზედაც უნდა გამართულიყო საუზმე, ესაუბრა რამოდენიმე წამი ლოიდ ჯორჯს და დიპლომატთა მწკრივს შორის გაემართა გემის ცხვირისაკენ. როდესაც მეფე მიუახლოვდა საბჭოთა დიპლომატებს, რომელნიც იდგნენ დიპლომატების მწკრივის ბოლოში, ადიუტანტმა მიუთითა მეფეს მათზე. მეფე შეჩერდა. მაშინ ადიუტანტმა წარუდგინა მას ჩიჩერინი. ვიქტორ ემანუილი მიესალმა ამ უკანასკნელს ხელის ქუდზე მიდებით. ჩიჩერინმა თავი დაუკრა მეფეს. შემდეგ მეფემ მოიხადა ქუდი და ქუდმოხდილმა გულითადათ ესაუბრა საბჭოთა მინისტრს. მხოლოდ ამ ბაასის შემდეგ მეფეს წარუდგინეს საფრანგეთის, ბელგიის და სხვათა დელეგაციები. შემდეგ ამისა, ერთმა ადმირალთაგანმა და იტალიის ბევრმა უმაღლეს პირებმა ითხოვეს, გაეცნოთ მათთვის ჩიჩერინი, რაც შესრულებულ იქმნა. შემდეგ გაზეთი იტყობინება, რომ ჩიჩერინი ბაასის დროს გულითად ესაუბრებოდა მონსინიორ სინიორის და, შემდეგ საუზმის სამახსოვროთ, მათ გადასცეს ერთმანეთს თავიანთი სურათი. კრასინი საუზმის დროს, იტალიის დეპუტატებთან ბაასში მოუთხრობდა მათ იტალიის მიერ სამხრეთ რუსეთის ექსპლოატაციის შესახებ. ამავე საუზმეზე ვირტი და რატენაუ ბევრს ლაპარაკობდენ შრომის კრიზისის შესახებ ბერლინში.

კონფერენციის მომავალი ბედ-იღბალი

ხანტა მარგარიტა. 10 მაისი (რუსეთის დელეგაციის პრეს ბიუროს რა-

დიო მოსკოვით). პოლიტ კურმა კომისიამ, რუსების დელეგატების გარეშე მიიღო შემდეგი საბოლოო დადგენილებანი: 1. გადაუწყვეტელ საკითხების საბოლოოდ გასარჩევად, რომელიც არსებობს საბჭოთა მთავრობასა და სხვა სახელმწიფოთა შორის, ეს უკანასკნელნი დაარსებენ კომისიას ექსპერტებისას, რომელიც შეხვდება რუსეთის კომისიას [illegible] თანასწორი უფლებით. 2. ამ სახელმწიფოთა და მათი დელეგატების სახელწოდება, რომელნიც მიიღებენ მონაწილეობას ამ კომისიაში ეცნობება საბჭოთა მთავრობას. რუსეთის კომისიის წევრთა სახელწოდება უნდა ეცნობოს სხვა მთავრობებს არა უგვიანეს 20 ივნისისა. 3. კომისიის მუშაობაში ჩართული იქნება ყველა გადაუწყვეტელი საკითხი ვალების, კრედიტების და კერძო საკუთრების შესახებ. 4. კომისიის წევრები შეიკრიბებიან ჰააგაში 26 ივნისს. საბჭოთა და სხვა სახელმწიფოთა მთავრობები მოვალენი არიან არ მოახდინონ ურთიერთთა თავდასხმა, შეწყვიტონ საზიანო პროპაგანდა, დაიცვან პოლიტიკური სტატუს-კვო, უარი სთქვან ერთი სახელმწიფოს შინაურ საქმეებში ჩარევაზე და სხვა სახელმწიფოთა პოლიტიკურ ორგანიზაციების ფინანსიურ და სხვა გვარ დახმარებაზე. ამ დადგენილებით ხვალ გადასცემენ რუსეთის დელეგაციას. მოკავშირეები საიდუმლოთ ინახავენ იმ მუხლს, რომელიც ეხება რუსეთთან სეპარატიულ ხელშეკრულების დადების საკითხს. მაგრამ ეს არ არის მტკიცე საიდუმლოება. ევროპამ წამოაყენა ამერიკის ბურჟუაზია, რათა საერთო ძალღონით, მუქარითა და ძალდატანებით აიძულოს საბჭოთა ხელისუფლება დათმობაზე წავიდეს. მოგვითხრობენ, რომ შანცერი და ლლოიდ-ჯორჯი დღეს კვლავ დაემუქრენ ჩიჩერინს საერთო ბოიკოტით თუ რუსეთი უარს იტყვის მიიღოს კომისიის წინადადებანი და მასთან მიუთითეს მას ის პერსპექტივები, რომელიც მოსალოდნელია ამერიკის მონაწილეობით.

გენუაში მყოფი ყველა დელეგატები ემზადებიან წასასვლელად.

გაზეთ „დეილი გერალდს“ პოლიტიკური კომისიის უკანასკნელი გადაწყვეტილება მიაჩნია ამერიკის ჩარევის შედეგათ. ამერიკა ჩაერია კონფერენციის მუშაობაში საბჭოთა რუსეთისადმი მტრული განწყობილებით და დასთანხმდა მონაწილეობა მიეღო ექსპერტების კომისიის მუშაობაში იმ პირობით, თუ იქ არ იქნებოდნენ დაშვებულნი რუსეთის წარმომადგენლები და არ დაიდებოდა რუსეთთან სეპარატიული ხელშეკრულებანი.

გენუის კონფერენციის ისტორიის გარშემო

რომი. იტალიის გაზეთები დაწვრილებით აგვიწერენ იმ კოლოსალურ ტეხნიკურსა და ადმინისტრატიულ მუშაობას, რომელსაც აწარმოებდა იტალიის მთავრობა გენუის კონფერენციის მოსამზადებლად. ამ მუშაობისათვის მობილიზაცია გაუკეთეს საუკეთესო მოხელეთ, რომელთაც მცირე ხნის განმავლობაში შეძლეს მოეწყოთ სათანადო ბინები, გაემართებინათ ტელეგრაფისა და ტელეფონის კავშირი, უზრუნველ ეყოთ გენუაში მოსულნი აუცილებელ საშუალებებით, და გაეწმინდათ ქალაქი ყოველგვარ საეჭვო პირებიდან. პირველის მუშაობის სიძნელე, რომელსაც პასუხი უნდა ეგო იმ ნაკლის გამო, რაც არ შეეფერებოდა იტალიის ღირსებას,—რთულდება განსაკუთრებით იმ გარემოებით, რომ უკანასკნელ დღეებამდის დარწმუნებით არავის შეეძლო ეთქვა შედგებოდა თუ არა კონფერენცია. და ამიტომ მთელი მუშაობა სწარმოებდა იმ ანგარიშით, რომ თუ ვინიცობაა კონფერენცია არ შესდგებოდა, ყველა წარმოებული მუშაობისათვის გაეკეთებინათ ლიკვიდაცია განსაკუთრებული ზედმეტი ხარჯების გარეშე.

კონფერენციაზე გენუაში, გარდა ცნობის მოყვარეთა საგრძნობი რაოდენობისა, ჩამოვიდა 10.000 მდე კაცი. მათ შორის 1200 უცხოელი დელეგატი თავის ტეხნიკურ პერსონალით, 400 წევრი იტალიის დელეგაციისა, ყველა თანამშრომლებითურთ, 700 უცხოელი და იტალიელი ჟურნალისტი, 400 ფოსტა ტელეგრაფისა და რკინის გზის მოსამსახურეები, 300 ჯარის კაცი, 1500 კარაბინერი, 1500 მეფის გვარდიელები, 400 მაძებარი პოლიციის აგენტები, 1000 შოფერი, მეეტლე და სხვა მოსამსახურენი. ეს აურაცხელი ხალხი უნდა მოეთავსებინათ შედარებით პატარა ქალაქში და მის რაიონში. დელეგაციებისათვის უნდა ყოფილიყო სათანადო მოწყობილება; უნდა ეზრუნათ სურსათსანოვაგეზე, მოეწესრიგებინათ სატელეგრაფო და სატელეფონო კავშირი, დაეწესებინათ საბაზრო ფასები, რათა სპეკულიაციას არ ქონოდა ადგილი.

ინგლისის (120 კაცი), საფრანგეთის (25 კაცი), და ბელგიის (25 კაცი) დელეგაციებს ინახავდა იტალიის ხაზინა თავის ხარჯზე, რადგანაც იტალიის დელეგატები სხვა და სხვა კონფერენციებზე სარგებლობდენ ინგლისის საფრანგეთის და ბელგიის სტუმართ-მოყვარეობით. დანარჩენ დელეგაციებს მიეცათ ბინები, მაგრამ ისინი თავის ხარჯზე არსებობდენ. რუსეთის დელეგაცია, იტალიის გაზეთების ცნობით, [illegible] იყო ფულით უზრუნველყოფილი, ვინაიდან მან ჩამოსვლისთანავე [illegible] ერთი ბანკის [illegible] 1 მილიონი ლირა. ინგლისის დელეგაციის განკარგულებაში იყო 9 უფასო ავტომობილი, საფრანგეთისასი [illegible] და ბელგიისაში ორი. დანარჩენ დელეგაციებს მიეცათ თითო უფასო ავტომობილი. დანარჩენ დელეგაციების ავტომობილებისათვის [illegible] იქნა განსაკუთრებული [illegible] ტარიფი და დელეგატებს შეეძლოთ ქონოდათ, შედარებით იაფ ფასებში, [illegible] ავტომობილების სათანადო რიცხვით. საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ ამ დროისათვის გენუაში თავმოყრილ იქნა იტალიის საუკეთესო ავტომობილები.

იტალიის ხარჯები კონფერენციის მოწყობის საქმეში გამოიხატება შემდეგ ციფრებით: 12 მილიონი ლირა დაიხარჯა შენობათა და მოწყობილებათათვის, რომელნიც ხელს უწყობდნენ დელეგატებს დაეჭირათ კავშირი საკუთარ გარეთთან და ურთიერთთა შორის. მილიონ ნახევარი დაიხარჯა გზებისა და გზატკეცილების რემონტისათვის. რასაკვირველია ეს ხარჯები არ არიან ფუჭი, ვინაიდან იგი გენუას დიდ სარგებლობას მოუტანს. გარდა ამისა, კონფერენციასთან დაკავშირებულ ხარჯების დასაფარავად, აპრილის დასაწყისიდან საჭირო გახდა 12 მილიონი ლირა. ყოველ დღიური მიმდინარე ხარჯი იტალიის მთავრობისა, კონფერენციის აუცილებელ საჭიროებათათვის გადადებული, უდრის 150,000 ფრანკს.

კაპიტალიზმის სამეფოში

გერმანიის დახმარება.

პარიზი. გაზეთ „ტან“-ის ცნობით ბერლინში გაიმართა კრება დამშეულთა დახმარების შესახებ. სიტყვა წარმოსთქვა გერმანიის წითელი ჯვრის საზოგადოების თავმჯდომარე გრიუნეიზენმა, რომელმაც შემდეგი განაცხადა: „მთელ გერმანიის ხალხს, გამოუკლებლივ, შეგნებული აქვს აუცილებლობა რუსეთის ხალხისათვის დახმარების აღმოჩენისა. მე დარწმუნებით შემიძლია განვაცხადო, რომ გერმანია გააკეთებს ყოველივეს, რაც კი მასზეა დამოკიდებული, რომ დაეხმაროს დამშეულ რუსეთს და რომ საქმით დაუმტკიცოს მას იმ ძმური სიყვარულისა და სოლიდარობის გრძნობები, რომელნიც აკავშირებენ გერმანიასა და რუსეთს.

გერმანია და ანტანტა.

ნაუენი. 17 მაისი (რადიო). გერმანიის ფინანსთა მინისტრი გერმესი მიემგზავრება პარიზში გერმანიის მომავალ გადახდათა ვადების შესახებ მოსალაპარაკებლად. ბერლინის პრესა აღნიშნავს, რომ გერმანიის უკანასკნელი ნოტა, საკონტრიბუციო კომისიისადმი გაგზავნილი, არის შედეგი პოლიტიკურ პარტიათა შეთანხმებისა. დემოკრატიული და სოც.-დემოკრატ. გაზეთები იწონებენ ნოტას, როგორც დამამტკიცებელ ახალ საბუთს იმისას, რომ გერმანია მზად არის ასრულოს ყველა თავისი ვალდებულებანი.

ბერლინი. 17 მაისი (რადიო). გაზეთ „დოიჩე ალგემაინე ცაიტუნგი“-ს აზრით საკონტრიბუციო კომისიის გადაწყვეტა დამოკიდებულია გენუაში შექმნილ საერთო პოლიტიკურ მდგომარეობაზე და გერმანიის საგარეო სესხის [illegible]. გაზეთი „ფოსიშე ცაიტუნგი“-ს აზრით უკანასკნელ მოლაპარაკების დროს პარიზში, საფრანგეთის ნაციონალისტების [illegible] ადგილი უნდა დაუთმოს ეკონომიურ საღ მოსაზრებას.

ბორდო. 17 მაისი (რადიო) საფრანგეთის სენატის საგარეო კომისია აღნიშნავს, რომ გერმანიის უკანასკნელი ნოტის შემდეგ, 31 მაისის შემდეგ არ უნდა მოველოდეთ რაიმე განსაკუთრებულ გართულებით საფრანგეთ გერმანიის დამოკიდებულებაში. აღნიშნავენ გერმანიის უკანასკნელ ნოტაში კონკრეტიულ წინადადებათა [illegible], მაგრამ ეს ნაკლი შევსებული იქნება იმ დროს, როდესაც პარიზში ჩამოვა გერმანიის ფინანსთა მინისტრი.

ნაუენი. 17 მაისი (რადიო) გაზეთი „მატენი“ ეხება გერმანიის ფინანსთა მინისტრის გერმესის მოხსენებას, რომელიც მან გააკეთა საკონტრიბუციო კომისიაში. მოხსენება დამაკმაყოფილებლად არის მიჩნეული. კომისიის ბრიტანელ და ბელგიელ წევრებს შესაძლებლად მიაჩნიათ გერმანიასთან შეთანხმება. საკონტრიბუციო კომისია შეუდგა გერმანიისთვის საერთაშორისო და იძულებითი საგარეო სესხის მიცემის საკითხის განხილვას.

ევროპის აღდგენის შესახებ.

ბერლინი, 17 მაისი. რადიო. შვეციის მთავრობას შეაქვს პარლამენტში კანონ-პროექტი, რომლითაც მიღებულ უნდა იქმნეს 9 მილიონი კრონი, რომელიც შეადგენს შვეციის წვლილს ევროპის აღდგენის საერთაშორისო კაპიტალისას.

ფრანგები შეშფოთებულნი არიან.

ბერლინი. 17 მაისი (რადიო). მოსკოვიდან ბერლინში დაბრუნებული რუსეთის სავაჭრო მისიის ცნობებით: საბჭოთა მთავრობას განზრახვა აქვს მოლაპარაკება დაიწყოს გერმანიასთან სასოფლო-სამეურნეო იარაღების მოწოდების შესახებ. ამ ცნობამ შეაშფოთა ფრანგები, რომელნიც მზად არიან წარუდგინონ რუსეთს ძლიერ ხელსაყრელი პირობები ამ იარაღების მოწოდების საქმეში ხანგრძლივი კრედიტებით.

გერმანიის პროტესტი.

ნაუენი. 17 მაისი (რადიო) რეინლანდის სოციალ დემოკრატებმა კელნში გამართეს კონფერენცია, სადაც მათ პროტესტი განაცხადეს საფრანგეთის იმპერიალისტების იმ ცდის წინააღმდეგ, რომელიც მიმართულია გერმანიიდან და პრუსიიდან რეინლანდის გამოყოფისაკენ.

ბორდო. 17 მაისი (რადიო). გავრცელდა ხმები იმის შესახებ, რომ ამ უახლოეს ხანში გამოცხადდება რეინის ავტონომიური რესპუბლიკის დაარსების აქტი.

რუსეთის ცნობის გარშემო.

პარიზი. 17 მაისი (რადიო). იმ ცნობების გამო, რომ ერთა ლიგას განზრახვა აქვს განიხილოს საკითხი რუსეთისა და გერმანიის ერთა ლიგაში მიღების შესახებ, ჩემბერლენმა თემთა პალატაში გააკეთა განცხადება, რომ ერთა ლიგის მომავალ სხდომის წესრიგში არ არის დასმული საკითხი რუსეთისა და გერმანიის მიღების შესახებ.

პრაქტიკული შედეგები არ არის.

ბერლინი. 16 მაისი რადიო. „ფორვერტს“ სიტყვებით გერმანიამ გენუის კონფერენციაში მუშაობით თითქმის არაფერი არ მოუგია, თუმცა მართალია, რომ გერმანიას არ უხდება მწუხარე იყოს იმაზე, რომ მან თავისი დელეგაცია გაგზავნა გენუაში. სამწუხაროა თუმცა ის, რომ საგარეო პოლიტიკის სფეროში კონფერენციამ ვერ ჩაუყარა საფუძველი.

რეინზე.

ნაუენი. 16. მაისი. (რადიო). კელნის გაზეთ „ფოლკს“-ის ცნობებით, რეინლანდში 1923 წლისათვის ინგლისის გარნიზონის შესანახად ხარჯები გამოანგარიშებულია 2,225,000 გირ. სტერლინგად, ე. ი. საშუალოდ გერმანიაში მყოფ თითო ინგლისელ ჯარისკაცს დასჭირდება წლიურად 2,524 გირ. სტერლინგი.

ბერლინი. 16 მაისი. (რადიო). „ფრანკფურტერ ცაიტუნგის“ ცნობით, საფრანგეთის საოკუპაციო არმიის ჯარისკაცებმა უარი განაცხადეს ხის ბარაკებში დგომაზე და მოითხოვენ მათ ქვის შენობებში გადაყვანა.

გერმანია-პოლონეთის ურთიერთობა.

ბერლინი. 16 მაისი. (რადიო). გერმანიის და პოლონეთის ეკონომიურ შეთანხმებას ზემო სილეზიის შესახებ ხელს მოაწერენ ჟენევაში და დამტკიცებულ იქნება ოპპელნში 27 მაისს.

ბერლინი. 16 მაისი. რადიო. გერმანიის და პოლონეთის დელეგაციებმა გენუაში დაიწყეს მოლაპარაკება გერმანია პოლონეთის სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ. ოფიციალური მოლაპარაკება დაიწყება ზემო სილეზიის შესახებ დადებული შეთანხმების რატიფიკაციის შემდეგ.

ბორდო. 16 მაისი. რადიო. ორშაბათს 15 მაისს, ჟენევაში გერმანიის და პოლონეთის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს კონვენციას, რომელიც საბოლოოდ აწესრიგებს ზემო სილეზიის საკითხებს. ამ კონვენციას ესალმება ნაციათა ლიგა. შეთანხმების ნაწილს მოაწერენ კალენდერს.

მანჯურიის დამოუკიდებლობა.

ბერლინი. 16 მაისი. რადიო. მანჯურიაში 3 პროვინცია გაერთიანდა და გამოაცხადა თავისი დამოუკიდებლობა.

„როტე ფანე“ ქართველ მენშევიკების შესახებ

„როტე ფანე“ უძღვნის ვრცელ წერილს ქართველ მენშევიკების მოღვაწეობას. „როტე ფანე“ ამ წერილში იცავს საქართველოს საბჭოთა მთავრობას „სიცრუისა და ცილისწამებისაგან, რომლითაც ცდილობენ საქართველოს ზოგიერთი სოციალისტები და წვრილი ბურჟუაზია ტალახში ამოსვარონ საბჭოთა რუსეთის და საქართველოს სახელი“.

„როტე ფანე“ წერს: „თუმცა ამ ჟამად ევროპის პროლეტარიატს არა აქვს დრო და საშუალება ამხილოს ყველა ეს სიცრუე, ცილისწამება, ისტერიული გამოსვლები ბურჟუაზიისა, მიუხედავად ამისა მაინც აუცილებელია ჭეშმარიტების აღდგენა, თუნდაც იმიტომ, რომ სიცრუის და ცილისწამების ახალი წყარო გამომდინარეობს ეხლა იმ წრეებიდან, რომელთაც ეკუთვნის მუშათა კლასის ნაწილი, წვრილ ბურჟუაზიულ სოციალისტების წრეებიდან, ვანდერველდეს და კაუცკის მეთაურობით, რომელნიც ფიქრობენ, რომ მათ ხელში საქართველოს საკითხი წარმოადგენს ბრძოლის ახალ იარაღს და ახალ მეთოდს საბჭოთა ხელისუფლების გასამტყუნებლად „წითელ იმპერიალიზმში“. ამ წითელი იმპერიალიზმის დასამტკიცებლად კაუცკის და ვანდერველდეს მოყავთ პატარა გაუბედურებული საქართველო,—მეორე ბელგია, მდებარე შავ და კასპიის ზღვებ შორის, ის ბედნიერი ახალი არკადია, რომელიც შექმნეს მენშევიკებმა შავი ზღვის მოლიმარე ნაპირებზე“. მათ მოყავთ მაგალითად საქართველო—„ჭეშმარიტად დემოკრატიული ქვეყანა, რომლის მთელი მოსახლეობა მენშევიკების ბატონობის დროს ტკბებოდა მშვიდობიანობით, თავისუფლებით და კეთილდღეობით“. „როტე ფანე“ ირონიულად სწერს: „ყველაფერი იყო საუცხოვოდ, სანამ არა მოვიდოდნენ, ბავშური ენით რომ ვთქვათ, „ბოროტი ბოლშევიკები“, მოსისხლე მტერი ყოველგვარ მშვიდობიანობის, ყოველგვარ სიხარულის, თავისუფლების, ყოველგვარ კეთილდღეობის,—და მოღალატურად არ ჩაახრჩვეს მთელი ეს არკადია“. საშინელმა წითელ არმიამ, ირონიულად განაგრძობს „როტე ფანე“ გაფანტა ოთხივე მხრით ყველა ღმერთები, რომელნიც იცავდნენ ამ სამოთხისებურ კუთხეს. ეს „ქართველი ღმერთები“ თავის ქვეყანას დაშორებულნი დაეხეტებიან მსოფლიოში და დახმარებაზე, შეღაღადებენ ყველას. ვანდერველდესაგან ისინი მირბიან ჰენდერსონთან, მაკდონალდისაგან კაუცკისთან და განაგრძობენ მოთქმას საშინელებებზე, რომელიც თითქო მიაყენეს ბოლშევიკებმა საქართველოს.

მენშევიკები გამქცეულნი თავის საკუთარ ქვეყნიდან მუშათა კლასის მიერ, მოხვდნენ ლონდონში. ეხლა ბერლინს, პარიზს და სხვა ცენტრებს, სადაც დაიწყეს ზღაპრების მოთხრობა ბედნიერ საქართველოზე, საიდანაც ბოლშევიკებმა ისინი პირდაპირ ზღვაში გადაყარეს. ხოლო 2 და 2 ნახევარ ინტერნაციონალის პატივცემული წინამძღოლები ისმენდნენ და არ ამოწმებდნენ, თუ რას მოუთხრობდნენ მათ მენშევიკები. ცხადია, ამ ვაჟბატონებს არც სურდათ იმის გამორკვევა თუ რამდენად შეეფერებოდა სიმართლეს მენშევიკური ზღაპრები. და აი წვრილ ბურჟუაზიულ დემოკრატიის ყოველ წრიდან, ყოველ მხრიდან მორთეს ჩივილი „მძიმე დანაშაულზე, რომელიც ჩაიდინეს ბოლშევიკებმა ყველაზე უფრო ბედნიერ და თავისუფალ ქვეყნის მიმართ“.

როცა კაუცკიმ და ვანდერველდემ ქართველ მენშევიკებთან ერთად გამართეს ახალი გალაშქრება საბჭოთა ფედერაციის წინააღმდეგ, კომუნისტურმა ინტერნაციონალმა დაწვრილებით და მიუდგომლად შეისწავლა საქმეთა ნამდვილი მდგომარეობა მენშევიკების სამი წლის ბატონობის

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საგანგებო სესია

სხდომა პირველი

1922 წ., აპრილის 14 ს. სახელმწიფო ოპერის თეატრი.

ყარსის ხელშეკრულება.

თავმჯდომარე. ყარსის ხელშეკრულების შესახებ მოხსენებისათვის სიტყვა ამხანაგ ელიავას ეკუთვნის.

შ. ელიავა. ამხანაგებო! ოქტომბრის წინა წლის საქართველოს რევოლიუციონერ კომიტეტის გარეშე საქმეთა და ფინანსთა კომისარი ამხანაგი სვანიძე და მე ვიყავით რწმუნებულნი დაგვედო ხელშეკრულება ოტომანის იმპერიის დიდი ნაციონალურ ყრილობისა და ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციის შორის. ეს კონფერენცია მოხდა ყარსში. ხელშეკრულება იყო ხელმოწერილი 13 ოქტომბერს. ეხლა ჩვენ უნდა დავამტკიცოთ ის, რატიფიკაცია მოვახდინოთ ამ ხელშეკრულებისა.

ამხანაგებო, სანამ ამ ხელშეკრულების ტექსტს წავიკითხავ ქართულ და რუსულ ენაზე მე მინდა რამოდენიმე სიტყვა ვთქვა იმის შესახებ თუ როგორ დაიბადა ძმობისა და სოლიდარობის იდეა საბჭოთა რესპუბლიკებისა ერთი მხრით და დიდი ნაციონალურ ყრილობის შორის მეორე მხრით. ამხანაგებო, საერთაშორისო იმპერიალისტურ ომის შედეგათ შეიქმნა უცნაური, ისტორიაში ჯერ უცნობი მდგომარეობა: ერთ დროს დიდი რუსეთი — აფრთხობელა ყველა მეზობელ ქვეყნებისა, იმპერიალისტურ ომის შემდეგ შეიქნა გასრესილი და დამხობილი და მხოლოდ პროლეტარიატის ცდით რუსეთმა დაიკავა მისთვის შესაფერი მდგომარეობა. ყოფილ მოკავშირეთა შორის შეიქნა ბრძოლა რუსეთის დაყოფის გამო გავლენათა სფეროებათ. თუ გაიხსენებთ ბრძოლას საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, თქვენ დაინახავთ, როგორ ფიქრობდნენ რუსეთის დაქუცმაცებას, გაყოფას გავლენათა სფეროებათ. ერთ დროს დიდი ოტომანის იმპერია, რომელიც თავის მხრითაც აშინებდა, აფრთხობდა დასავლეთ ევროპას, ისიც გათელილი და გასრესილი შეიქმნა ამ იმპერიალისტური ომის გამო. აი ის მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა იმპერიალისტურ ომის შედეგათ. ევროპის იმპერიალისტები და კაპიტალისტები ინგლისის და საფრანგეთის მეთაურობით ცდილობდენ წაერთმიათ დამოუკიდებლობა ამ სახელმწიფოებისათვის და ერთ დროს ძლევა-მოსილი, აურაცხელ სიმდიდრის მქონე სახელმწიფონი გადაექციათ საგნათ, ობიექტად თავის ექსპლოატაციისა. ამ ბრძოლის პროცესში წარმოიშვა იდეა, ან უკეთ რომ ვსთქვათ, ეს იდეა წარმოიშვა თავის არსებობისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის. ამისათვის იბრძოდნენ დიდი რუსეთი და დიდი ოტომანის იმპერია. ოტომანის იმპერიამ დაისახა მიზნათ ნაციონალური [illegible] და იმპერიალისტური [illegible] მემკვიდრეობის ლიკვიდაცია, და ეს ორი დიდი სახელმწიფონი შეთანხმდნენ ბრძოლის ამ მომენტში და ამ შეთანხმების იდეა წარმოიშვა მანამ, სანამ ჩვენ შევუდგებოდით ხელშეკრულების დადებას.

ჯერ კიდევ 1919 წელს აქ პირველად შეეცადნენ ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციები მოეხდინათ შეთანხმება ოსმალეთის მებრძოლ პარტიებთან დასავლეთ იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. და აი 1919 წელში დაწყებულმა საქმემ თავისი საბოლოო და ოფიციალური სახე მიიღო იმ დოკუმენტით, რომელსაც ქვია მოსკოვის ხელშეკრულება დადებული რ. ს. ფ. ს. რ. და ოსმალეთის დიდი ეროვნულ ყრილობის მთავრობათა შორის 1921 წლის მარტის 16 ქალაქ მოსკოვში. გარდა ამისა გასულ წელს ოქტომბერში დადებულ იქნა ხელშეკრულება ამიერ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების და ოსმალეთის დიდი ეროვნულ ყრილობის მთავრობათა შორის, ხოლო დეკემბერში გასული წლისა დადებულ იქნა ხელშეკრულება უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკის და ოსმალეთის დიდი ეროვნულ ყრილობის მთავრობათა შორის.

ორივე მხარეები ამ ხელშეკრულებათა დადების დროს უმთავრესად ხელმძღვანელობდნენ იმპერიალიზმისთვის წინააღმდეგობის გაწევის იდეით და ამგვარად შეიქმნა ერთი მთლიანი განუწყვეტელი ფრონტი დასავლეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ დაწყებული ბალტიის ზღვის ნაპირებიდან დასავლეთ ოსმალეთამდე. ხელშემკვრელ მხარეების ურთ ერთი ვალდებულება, რომელიც შეეხება იმპერიალიზმისთვის წინააღმდეგობის გაწევას ზოგიერთ მუხლში ხელშეკრულებისა ძალიან ნათლად არის გამოთქმული. 1-ლ მუხლში ნათქვამია, რომ ოსმალეთის დიდ ეროვნულ ყრილობის მთავრობა არ სცნობს არც ერთ ხელშეკრულებას, რომელიც დადებული იყო ამიერ კავკასიის ყოფილ მთავრობებთან, ისევე, როგორც ამიერ კავკასიის საბჭოთა მთავრობები არ სცნობენ არც ერთ ხელშეკრულებას ოსმალეთთან, დადებულს სხვა რომელიმე მთავრობასთან გარეშე ანგორის მთავრობისა. 2 მუხლით მხარეები მოვალენი არიან არ სცნონ არც ერთი საერთაშორისო ხასიათის აქტები ოსმალეთის შესახებ, რომელნიც არ არიან ცნობილნი დიდი ეროვნულ ყრილობის მიერ. მხარეები არ სცნობენ აგრეთვე კაპიტულიაციის რეჟიმს, როგორც არა შესაფერს სუვერენულ ხალხის ღირსებისათვის. თქვენ იცით, რომ დასავლეთის იმპერიალიზმმა ოსმალეთის მიმართ დააწესა კაპიტულიაციის რეჟიმი, ეს იყო საუკეთესო გამოაშკარავება დასავლეთ იმპერიალიზმის დაპყრობითი მიზნებისა.

ასეთი იყო უმთავრესი დებულებანი და იდეები, რომელნიც საფუძვლად დაედო ყარსის ხელშეკრულებას.

ამხანაგებო, ფრიად სიმბოლიურია ის გარემოება, რომ ყარსის ხელშეკრულების რატიფიკაციას დღეს შევუდექით. საქმე იმაშია, რომ გენუას კონფერენციაზე წამოყენებული იქნება საკითხი რუსეთის იზოლიაციისა კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ აღმოსავლეთის აჯანყებულ ხალხებისაგან. ეს საკითხი ერთი უმთავრესი საკითხთაგანი იქნება, რომლის გარშემო გაჩაღდება საშინელი ბრძოლა.

საკითხი პოლიტიკურ წონასწორობის დარღვევისა უმთავრესად საბჭოთა ფედერაციის და ოსმალეთის დიდ ეროვნულ ყრილობის მთავრობათა შორის შეადგენს არსებით ინტერესს იმ იმპერიალისტურ სახელმწიფოების, რომელნიც დაუწყებენ ლაპარაკს საბჭოთა რუსეთს. მე ამაზე სიტყვას აღარ გავაგძელებ მე ვფიქრობ საქართველოს საბჭოთა აღმასრულებელ კომიტეტის ყოველ წევრისათვის და ყოველ მუშისათვის გასაგებია, თუ რამდენად საჭიროა დღევანდელ მომენტში მეგობრობის და ძმობის ხელშეკრულება საბჭოთა ფედერაციის და აჯანყებულ აღმოსავლეთის ხალხთა შორის.

ჩვენ ვფიქრობთ, ამხანაგებო, რომ რევოლიუციის გამარჯვების ერთ არსებით მომენტს წარმოადგენს აღმოსავლეთის ქვეყნების ჩათრევა რევოლიუციონურ ბრძოლაში და ამისათვის კი ჩვენ ბევრი უნდა დავუთმოთ —მას მოითხოვს რევოლიუციის უმაღლესი კანონი.

მე ვათავებ ამხანაგებო, ჩემს მოხსენებას. დღეს საქართველოს საბჭოთა აღმასრულებელ კომიტეტმა უნდა გამოიჩინოს ამ საკითხში სრული ერთსულოვნება და გენუის კონფერენციის წინ მან უნდა აღნიშნოს, რომ ის განაგრძობს პოლიტიკურ კავშირს ოსმალეთთან იმპერიალიზმის წინააღმდეგ ერთად მოქმედებისათვის. ეხლა მე წავიკითხავ ყარსის ხელშეკრულების ტექსტს (კითხულობს ქართულად):

ხელშეკრულება

სომხეთის, აზერბეიჯანის და საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის მთავრობასთან.

მთავრობანი სომხეთის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკისა, აზერბეიჯანის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკისა და საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკისა ერთის მხრით, და ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის მთავრობა მეორე მხრით, იზიარებენ რა ერთა ძმობის პრინციპს და სცნობენ რა ყოველი ხალხისათვის თვითგამორკვევის უფლებას, გამსჭვალულნი სურვილით, რომ მათ შორის დადგენილი იქნეს მუდმივი მეგობრული ურთიერთობა და განუწყვეტელი გულწრფელი მეგობრობა, დამყარებული ურთიერთ ინტერესებზე, შეუდგნენ მოლაპარაკებას რუსეთის სოციალისტურ, ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლის მონაწილეობით, რათა დასდონ ხელშეკრულება და ამ მიზნით დანიშნეს თავიანთ რწმუნებულებად: სომხეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობამ: ასკანაზ მრავიანი, გარეშე საქმეთა სახალხო კომისარი და პოღოს მაკინციანი, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი. აზერბეიჯანის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობამ: ბეჰბუდ შახტახტინსკი, მუშათა ინსპექციის სახალხო კომისარი; საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობამ: შალვა ელიავა, სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი, და ალექსანდრე სვანიძე, გარეშე საქმეთა და ფინანსთა სახალხო კომისარი; ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის მთავრობამ: კიაზიმ-კარა ბეკირ ფაშა, ადრიანოპოლის დეპუტატი დიდი ეროვნულ ყრილობაში, აღმოსავლეთ ფრონტის სარდალი, ველი ბეი, ბურდურის დეპუტატი დიდ ეროვნულ ყრილობაში, მუხთარ ბეი, საზოგადო სამუშაოთა მინისტრის ყოფილი ამხანაგი; მემდუხ შევკეთ ბეი, ოსმალეთის სრულუფლებიანი წარმომადგენელი აზერბეიჯანში; რუსეთის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობამ: იაკობ განეცკი, რ. ს. ფ. ს. რ-ის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ლატვიაში, რომელნიც უფლება-მოსილების საბუთების გაცვლის შემდეგ, რომლებიც სათანადო და კანონიერ ფორმით შესრულებულად იქნა ცნობილი, შეთანხმდნენ შემდეგში:

მუხლი 1.

ოსმალეთის დიდი ეროვნულ ყრილობის მთავრობა და სომხეთის, აზერბეიჯანის და საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების მთავრობანი სცნობენ გაუქმებულად და ძალადაკარგულად ყველა ხელშეკრულებებს, რომელნიც დადებული იყო იმ მთავრობათა მიერ, რომელნიც წინათ ახორციელებდნენ სუვერენიტეტს ხელშემკვრელ მხარეების ტერიტორიაზე, და რომელი ხელშეკრულებანიც ეხებოდა ხსენებულ ტერიტორიებს; აგრეთვე იმ ხელშეკრულებებს, რომლებიც დადებული იყო მესამე სახელმწიფოებთან და შეეხებიან ამიერ კავკასიის რესპუბლიკებს. აღიარებულია, რომ რუსეთ-ოსმალეთის ხელშეკრულება, ხელმოწერილი მოსკოვში 1921 წ. (1337) წლის 16 მარტს, ამ მუხლის მოქმედებას არ ექვემდებარება.

მუხლი 2.

ხელშემკვრელი მხარეები სთანხმდებიან არა სცნონ არავითარი საზავო ხელშეკრულება ან სხვაგვარი საერთაშორისო აქტი, უკეთუ მის მიღებას ძალით აიძულებენ რომელსამე ხელშემკვრელ მხარეს. ამის ძალით სომხეთის, აზერბეიჯანის და საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკათა მთავრობანი სთანხმდებიან, არ სცნონ არავითარი საერთაშორისო აქტები, რომლებიც ოსმალეთს შეეხებიან და არ არიან ცნობილნი ოსმალეთის ეროვნული მთავრობის მიერ, რომელსაც ამ ჟამად მისი დიდი ეროვნული ყრილობა წარმოადგენს.

ამ ხელშეკრულებაში ოსმალეთად იგულისხმება ტერიტორიები, განსაზღვრული 1920 (1336) წლის 28 იანვრის ოსმალეთის ეროვნულ შეთანხმებაში, რომელიც შემუშავებული და გამოცხადებული იყო ოტომანთა დეპუტატების პალატაში კონსტანტინოპოლში და რომელიც ეცნობა პრესას და ყველა სახელმწიფოებს.

თავის მხრით ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის მთავრობამ არ სცნოს არავითარი საერთაშორისო აქტები, რომლებიც ეხებიან სომხეთს, აზერბეიჯანს და საქართველოს, და არ არიან ცნობილნი ამ რესპუბლიკათა სათანადო მთავრობათა მიერ, რომელთაც დღეს სომხეთისა, აზერბეიჯანისა და საქართველოს საბჭოთა მთავრობანი წარმოადგენენ.

მუხლი 3.

სომხეთის, აზერბეიჯანისა და საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების მთავრობანი სცნობენ, რომ კაპიტულიაციის რეჟიმი არ შეეფერება არც ერთი ქვეყნის თავისუფალ ეროვნულ განვითარებას და აგრეთვე მის სუვერენულ უფლებების სრულ განხორციელებას და ძალა-დაკარგულად და გაუქმებულად მიაჩნიათ ყოველგვარი მოქმედებანი და უფლებანი, რომელთაც რაიმე დამოკიდებულება აქვს ამ რეჟიმთან.

მუხლი 4.

ოსმალეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის საზღვარი (რუსეთის გენერალური შტაბის რუქით 1,210.000 5 ვერსი 1 დუიმში) განისაზღვრება ხაზით, რომელიც იწყება შავი ზღვის პირას მდებარე სოფელ სარფთან, გაივლის მთა ხედის თავზე, წყალთა გამყოფი ხაზით შავშეთი-მთა, კანლი-დაღ, იგი მიჰყვება შემდეგ წინანდელ ჩრდილოეთ-ადმინისტრატიულ საზღვარს არტაანის და ყარსის ოლქებისა—მდინარე არფა-ჩაისა და არაქსის ტალვეგზე ქვემო ყარა-სუს შესართავამდე (დაწვრილებითი აღწერა საზღვრისა და მასთან დაკავშირებული კითხვები განსაზღვრულია დანართებში 1 და 2 და თან დართულ რუქაზე, რომელიც ხელმოწერილია ორივე ხელშემკვრელი მხარეებისაგან. (უკეთუ ხელშეკრულების ტექსტსა და რუქას შუა აღმოჩნდება განსხვავება, ხელშეკრულების ტექსტს ეძლევა რუქის წინაშე უპირატესობა). შერეულ სასაზღვრო კომისიას, რომელიც შემდგარი იქნება წევრების თანაბარი რიცხვებისაგან, რ. ს. ფ. ს. რ-ის წარმომადგენლის მონაწილეობით, ევალება გაარკვიოს დაწვრილებით და ადგილობრივ გაატაროს სახელმწიფოს საზღვარი, და აგრეთვე დასდგას ნიშნები.

დანართი: IV რუქა.

მუხლი 5.

ოსმალეთის მთავრობა და აზერბეიჯანისა და სომხეთის საბჭოთა მთავრობანი სთანხმდებიან რომ ნახიჩევანის მხარე, იმ საზღვრებში, რომელიც აღნიშნულია ამ ხელშეკრულების მე 3 დანართში, შეადგენს ავტონომიურ ტერიტორიას აზერბეიჯანის მფარველობის ქვეშ.

მუხლი 6.

ოსმალეთი სთანხმდება დაუთმოს საქართველოს სუვერენიტეტი ბათომის ნავთსადგურსა და ქალაქზე და იმ ტერიტორიაზე, რომელიც მდებარეობს ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლში საზღვრის ჩრდილოეთით და რომელიც შედიოდა ბათომის ოლქში იმ პირობით, რომ 1) მოსახლეობა იმ ადგილებისა, რომელიც ნაჩვენებია ამ მუხლში, ისარგებლებს ფართო ადგილობრივი ავტონომიით ადმინისტრაციულის მხრით, რომელიც უზრუნველყოფს თითოეული თემის კულტურულ და სარწმუნოებრივ უფლებებს და რომ მოსახლეობას მიეცემა საშუალება დაადგინოს ისეთი სააგრარო კანონი, რომელიც ეთანხმება მის სურვილებს; 2) ოსმალეთს მიეცემა თავისუფალი ტრანზიტი ყოველგვარი საქონლის, რომელიც იგზავნება ოსმალეთში ან ოსმალეთიდან ბათომის ნავთსადგურის გზით უბაჟოთ, რაიმე ხარჯებით დაუბეგრავად, და ოსმალეთს მიეცემა უფლება, ისარგებლოს ბათომის ნავთსადგურით სპეციალური ხარჯების გადაუხდელად.

ამ მუხლის ცხოვრებაში გასატარებლად, ამ ხელშეკრულების ხელის მოწერის შემდეგ დაუყოვნებლივ შედგება კომისია ორივე დაინტერესებულ მხარეთა წარმომადგენელთაგან.

მუხლი 7.

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობა და ოს

---

*) იხ. კომუნისტი № 111.

დროს საქართველოში. კომინტერნის მიერ არჩეულმა კომისიამ ვრცლად განიხილა არქივები, რომლების მოსპობა ან თან წაღება ვერ მოახერხეს მენშევიკებმა.

საგამომძიებლო კომისიამ გაიკვლია გზა მენშევიკურ არქივის ლაბირინთში და ამ მედგარ მუშაობის შედეგმა გააოცა ისინიც კი, ვინც ცუდის მეტს არაფერს მოელოდა მენშევიკების მოღვაწეობის შესახებ საქართველოში.

აღმოჩენილი მენშევიკური საბუთები დაარწმუნებენ მთელ მსოფლიოს მუშათა კლასს იმ უძლიერეს საძაგლობასა, სიბეცესა და სიბინძურეში რომელიც ახასიათებდა მენშევიკების პოლიტიკას სამი წლის განმავლობაში, როცა ისინი შიდის ხალხს სცემდნენ საქართველოს უბედურ მოსახლეობას. ეს საბუთები საბოლოოდ აკრავენ სამარცხვინო ბოძზე მენშევიკებს, რომელნიც თავის [illegible] აიყვანა 2 და 2 ნახ. ინტერნაციონალმა.

შემდეგ გაზეთი ჩერდება მენშევიკების კონტრ-რევოლუციონურ პოლიტიკის დახასიათებაზე, რუს მენშევიკების პოლიტიკაზე კავკასიაში, ჩერდება ქართველ მენშევიკების თანამშრომლობაზე კონტრ-რევოლუციური ძალებით, რომლითაც ისინი ძმობდნენ ჯერ კაიზერს, შემდეგ მოკავშირეებს, ხაზს უსვამს ქართველ მენშევიკების დამოკიდებულებას რუს კონტრ-რევოლუციონერებისადმი და სხ. „რომ, აღნიშნავს „როტე ფანე“, ევროპის წვრილ ბურჟუაზიული სოციალისტები, რომელნიც ეხლა დახმარების ხელს უწვდიან ქართველ მენშევიკებს, გასცნობოდნენ საბუთებს, რომელნიც ახასიათებენ მენშევიკების პოლიტიკას, რომ სოციალისტები, რომელნიც ეხლა ამტკიცებენ, რომ მენშევიკები რუსეთის მიმართ იცავდნენ მტკიცე ნეიტრალიტეტს, გასცნობოდნენ საქართველოს რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკას, ისინი დარწმუნდებოდნენ, რომ ქართველი მენშევიკები ფრიად თავაზიანად და ხელსაყრელად ეპყრობოდნენ რუსეთის კონტრ-რევოლუციონერებს. შესაძლებელია, საბუთებთან გაცნობის შემდეგ 2 ინტერნაციონალის წარმომადგენელნი ხელს აიღებენ „დამოუკიდებელ საქართველოს ნეიტრალურ მთავრობისათვის“ დახმარებაზე.

„როტე ფანე“ ვრცლად აღნიშნავს, თუ როგორ განაგებდნენ მენშევიკები საქართველოს, ამ „ახალ არკადიას, სადაც სუფევდა მშვიდობიანობა, სიხარული, თავისუფლება და სრული კმაყოფილება“. გაზეთი ამტკიცებს, რომ პატარა საქართველოში მენშევიკურ მმართველობის სამი წლის განმავლობაში, არ შეწყვეტილა გლეხთა აჯანყება, რომელსაც ახშობდნენ არაჩვეულებრივი სისასტიკით.

„როტე ფანე“-ს მოყავს მთელი რიგი საბუთები, რომელნიც ადასტურებენ ზემოდ მოყვანილ აზრებს. ვრცელი წერილი საქართველოს შესახებ თავდება შემდეგი სიტყვებით: „აი როგორ ცხოვრობდნენ ბედნიერ მენშევიკურ არკადიაში, სადაც სუფევდა მშვიდობიანობა, ბედნიერება, თავისუფლება და კეთილდღეობა“.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

სეტყვა. სიღნაღის მაზრიდან მოდის ცნობები ძლიერი სეტყვის დაზიანების შესახებ, რომელიც გამოიწვია 13 მაისის თავსხმა სეტყვამ. დასეტყვილია საკმაოდ დიდი სივრცე. სიღნაღის თემის კომიტეტის თავმჯდომარე იტყობინება, რომ კონდოლის და ლაგოდეხის რაიონებში მთლად სეტყვისაგან განადგურდა ნათესები. ლაგოდეხის რაიონი მდებარეობს ალაზნის ნაპირებზე.

სამხრეთ ოსეთი.

შრომის და ტვირთზიდვის გადასახადი. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქის შრომის კომისარიატის ცნობებით შრომის და ტვირთზიდვის გადასახადი სამეურნეო ორგანოებისათვის გადასახადის მეორე პერიოდში გამოიხატება შემდეგ ციფრებით: 500 ურემი და 1500 მუშა ხელი.

აჭარა

თესვის კამპანია. თესვის კამპანია წარმატებით ბოლოვდება. მინდვრები დახნულია. თუ აქა იქ დარჩენილა დაუთესავი ადგილები ეს იმიტომ, რომ დროზე ვერ იქნა მიწოდებული ადგილებზე სიმინდის თესლი.

ზოგიერთ ადგილებში ყანები უკვე ამოვიდა. დაბრკოლება ტრანსპორტის და ტომრების მხრივ სათესი მასალისათვის, რომელიც გამოგზავნა საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა, ამ ჟამად გადალახულია. თესლის უკანასკნელი პარტიები იგზავნება სადაც ეხლა საჭიროება მოითხოვს და ამ კვირის განმავლობაში სათესი მასალით მომარაგების კამპანია დასრულდება.

ფუხარა გლეხების კომიტეტების ხელახალი არჩევნები. 9 მაისს მთელ აჭარისტანის რესპუბლიკაში დაიწყო ფუხარა გლეხების კომიტეტების ხელახალი არჩევნები. დაარსებულია ცენტრალური კომისია არჩევნების მოსაწყობათ. ამ კომისიის მოვალეობას შეადგენს კომისიების დაარსება ადგილობრივი არჩევნების ხელმძღვანელობისათვის. ადგილობრივად ხელახალი არჩევნების მუშაობაში ჩაბმული იქნება უღარიბესი მშრომელი მცხოვრებლები. მთელ აჭარაში დაარსებული იქნება 300 კომისია, რომლებმაც უნდა დაასრულონ მუშაობა კამპანიების ჩასატარებლად 3 კვირის განმავლობაში. საარჩევნო კამპანიის გათავების შემდეგ მოწვეული იქნება სრულიად აჭარის ფუხარა გლეხების კომიტეტების ყრილობა, სადაც აირჩევა ცენტრალური ბიურო.

ბათომი დამშეულებს. საქართველოს დამშეულების სასარგებლოდ დამშეულთა დამხმარე კომიტეტმა აპრილის განმავლობაში მიიღო: ქართულ ბონებით—625,962,000 მან., ოსმალური ქაღალდის ლირებით—177 ლირა 75 პიასტრი, იტალიის ქაღ. ლირებით—18, 5 დოლარი, 40 მან. ოქროს ხუთმანეთიანებით, 15 დრაჰმი, რუსეთის სპილენძის ფულით—7 მან. 83 კაპ. 1 ვერცხლის საპაპიროსე და ოქროს ბეჭედი.

ვოლგის დამშეულთა დასახმარებლად შემოვიდა ქართული ბონებით 99 415,199 მან., საბჭოთა ბონებით 7,133,000 მან.

აფხაზეთი.

აფხაზეთი დამშეულებს. ახალი ათონის მონასტრის უფროსმა არხიმანდრიტმა ილარიონმა დამშეულთა დამხმარე ცენტრალურ კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. პეტრენკოსთან საუბრის დროს განაცხადა: „დამშეულების დახმარება ჩვენი საერთო საქმეა“. არხიმანდრიტ ილარიონის რწმუნებით ახალ ათონის მონასტრის ბერები მთელი ძალღონით მიიღებენ მონაწილეობას დამშეულთა დახმარების საქმეში. განძეულობის ჩამორთმევა უკვე დაწყებულია. გაგრის მაზრამ, მიუხედავად იმისა, რომ ის რესპუბლიკაში ყველა უფრო პატარა მაზრაა, თითონ დაზარალდა გვალვისაგან და რამოდენიმე სოფელი შიმშილობს, გადაგზავნა თავის სამაზრო კომისიის საშუალებით აფხაზეთის დამშეულთა დამხმარე ცენტრალურ კომიტეტში 3,662,000 მან. გაგრის ძველი ეკლესიის მლოცველების მიერ გამოყოფილი საგნები უკვე გადაეცა აფხაზეთის დამშეულთა დამხმარე ცენტრალურ კომიტეტს. აღნიშნულ ეკლესიის მღვდელი იაკოვლევი პირველი მღვდელია მთელ აფხაზეთში, რომელმაც გაიღო ეკლესიის ვერცხლეულობა დამშეულთა სიცოცხლის გადასარჩენად. რუსი ებრაელების „ობშჩინამ“ შესწირა 1,025,000 მან.

თამბაქოს გადაცვლა ფქვილზე. აფხაზეთის დამშეულთა დამხმარე ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო თანხმობა საბჭოთა რუსეთის თამბაქოს ტრესტში თამბაქოს ფქვილზე გადაცვლის შესახებ. მოლაპარაკების საწარმოებლად და ხელშეკრულების დასადებათ თამბაქოს ტრესტთან მოსკოვში გაეგზავნა ამიერკავკასიის საგარეო ვაჭრობის წარმომადგენელი.

ეპიდემია. კოდორის მაზრიდან იტყობინებიან, რომ იქ ძლიერდება პარტახტიანი ტიფი. ამას გარდა მძვინვარებს ყვავილი, „ისპანკა“ და სხვ. შრატი არ არის და აცრა ვერ სწარმოებს.

დახმარება საქართველოს დამშეულებს. საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარი კომიტეტის რწმუნებულის ამხ. ბახტაძის მოხსენების შემდეგ საქართველოს დამშეულთა დახმარების შესახებ, აფხაზეთის უმაღლეს ეკონომიურ თათბირის პრეზიდიუმმა დაადგინა პრინციპიალურად საჭიროდ იქნას ცნობილი საქართველოს დამშეულების დახმარება და გადაიდოს განსაზღვრული რაოდენობა სიმინდისა სასურსათო გადასახადის ფონდიდან. საკითხი, თუ რამდენი გადაიდვას სიმინდი საქართველოს დამშეულებისათვის, გადაეცეს გადასაწყვეტათ აფხაზეთის სახალხო კომისართა საბჭოს.

აზერბაიჯანი

ბამბის თესვის კამპანია. ბამბის სამმართველომ დაასრულა ორგანიზაციო მუშაობა და დაიწყო ადგილებზე ბამბის თესვის კამპანიის გატარება. ამ მიზნით პეტროპავლოვსკის ბამბის ქარხნიდან გადიგზავნა სათესი მასალა შემდეგ რაიონებში: ნახჩევანის რაიონში—1 ვაგონი თესლი, განჯის რაიონში—2 ვაგ. კარაბახში—7 ვაგ. სადგურ უჯარზე—6 ვაგონი, სადგ. მუსუსლზე—1 ვაგ., კურდამირში—1 ვაგ. სალიანის რაიონში—ოთხი ათას რვაასი ფუთი. სულ ყველა რაიონებისათვის გადაგზავნილია 25,100 ფუთი. რაიონებში გაემგზავრენ 3 აგრონომი და ინსტრუქტორ-ტექნიკები. პეტროპავლოვსკის რაიონში უკვე დაწყებულია ბამბის თესლის დარიგება გლეხებზე 50 კაპ. ოქროთი ფუთი. ბამბის მომყვანთა წასაქეზებლად აზერბაიჯანის ბამბის მთავარი კომიტეტს განზრახული აქვს დაურიგოს მთესველებს ფულით დახმარება სესხის სახით ან მანუფაქტურა არა ნაკლები 25 არშინისა. ყოველ დესიატინაზე. განზრახულია დაითესოს ბამბით 6 ათასი დესიატ. განჯის რაიონში ათას ხუთასი დესიატ., აღდამ-გოგჩის რაიონში—1500 დესიატ., ჩრდილოეთ მუღანში—ათასი დესიატ., სამხრეთ მუღანში—ხუთასი დეს. და კარაბაღის რაიონში ათასხუთასი დესიატ. ამ დღეებში აზერბაიჯანის ბამბის მთავარი მმართველობის წარმომადგენელმა ინახულა საბჭოთა რუსეთის ბამბის მთავარი მმართველობის რწმუნებული მუდმივი კავშირის დასაჭერად.

სიმშილი. გეოქჩაიდან იტყობინებიან რომ მაზრის მცხოვრებლები სიმშილობს. ბევრ სოფლებში გლეხები იკვებებიან ყოველგვარი სუროგატებით. იყო შემთხვევა სიმშილისაგან სიკვდილისა. დამშეულთა დამხმარე სამაზრო კომიტეტი უძლურია სახსრის უქონლობის გამო. ცენტრიდან გაგზავნილ 800 ფუთი ქერიდან თითო გლეხზე მოვიდა 1 გირ. სიმშილი უფრო გაძლიერებულია მტკვრის რაიონებში, რომლებიც დაზიანდა წყალდიდობისაგან. აპრილის პირველ რიცხვებში დამშეულების რიცხვი აღწევდა 16000 კაცს. უკანასკნელი ცნობებით ის გაიზარდა 25000 კაცამდე.

სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მესამე სესია

მოსკოვი. 17 მაისი (რადიო) სისხლის სამართლის შესახებ პროექტის განხილვის დროს ამხ. რიაზანოვმა განაცხადა, რომ კოდექსში შეტანილია დროებითი ხასიათის ბოროტმოქმედებანი, რომელიც ისჯება უმაღლეს სასჯელით. ამხ. რიაზანოვის აზრით არ შეიძლება ნორმალურად მიჩნევა იმ ზომებისა, რომლებსაც გვკარნახობს რევოლუციონური მიზანშეწონილების მოსაზრება. ყველა ბოროტმოქმედებანი ასეთი ხასიათისა გამოყოფილი უნდა იქნას კოდექსიდან ერთ განსაკუთრებულ დებულებაში, წინააღმდეგ შემთხვევაში კოდექსი, რომელშიაც ბევრი კარგი სიტყვებია და რევოლიუციონური კანონიერება, გადაიქცევა ფარისევლურ ფრაზად.

მცირე სახალხო კომისართა საბჭოს იურიდიულ კომისიის თავმჯდომარე ბროიდო ეკამათება რიაზანოვს და ამბობს, რომ რევოლუცია დაიწყო რა ლოზუნგით: „ძირს კანონი, გაუმარჯოს რევოლუციას“-ო ეხლა შევიდა ისეთ ფაზაში, როცა რევოლუცია უნდა ჩამოყალიბდეს კანონებში. მარსელიეზის მღერის დრო აღარ არის. სისხლის სამართლის კოდექსს მიზნათ აქვს ბოროტმოქმედთა დაშინება, და დახვრეტა კი არის ისტორიული აუცილებლობა, და ჯერ კიდევ არ დამდგარა დრო, რომ უარვყოთ იგი. ბროიდო წინადადებას იძლევა თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ვადა გადიდებულ იქნას 10 წლამდი.

მომხსენებელ კურსკის საბოლოო სიტყვის შემდეგ სესსიამ გადასცა სისხლის სამართლის კოდექსი განსაკუთრებულ კომისიას, რომ ის იქნას მიღებული საფუძვლად.

შემდეგ სესია შეუდგა სისხლის სამართლის პროცესუალური კოდექსის განხილვას. ამ საკითხის შესახებ მოხსენებით გამოდის კრილენკო. კოდექსი წარმოადგენს პირველ ნაბიჯს რესპუბლიკის სასამართლოს წყობილების და სასამართლოს დაწესებულებების საერთო რეფორმისაკენ. „ამ ჟამად, სთქვა მომხსენებელმა, ჩვენში პარალელურად არსებობს როგორც ნორმალური [illegible] სახალხო სასამართლოები და რევოლუციონური ტრიბუნალები. ეს პარალელიზმი უნდა შეიცვალოს სასამართლოს მთლიანობით, სასამართლო უნდა იყოს ორგანოთა მთლიანი სისტემა, რომელნიც სახალხო მოსამართლეებიდან დაწყებული, გადადის სახალხო მოსამართლეთა საბჭოებში არსებულ რევოლუციონურ ტრიბუნალების უფლებებით და უნდა დამთავრდეს ერთიან კასაციური სასამართლოთი, რომელიც ზედამხედველობას და ხელმძღვანელობას გაუწევს მთელი სასამართლო აპარატის მუშაობას“.

კრილენკომ აღნიშნა ზოგიერთი განსაკუთრებული თვისებანი ჩვენი სისხლის სამართლის პროცესუალური კოდექსისა, ბურჟუაზიულ ქვეყნების კოდექსებთან შედარებით, როგორც მაგალითად შეჯიბრების პრინციპი, რომლის მიხედვით დამცველი და პროკურორი მსჯელობენ როგორც მოპირდაპირე მხარეები; ამას ჩვენ სრულიად არ ვცნობთ. პროკურორს და დამცველს ჩვენ ვუყურებთ როგორც მსაჯულის თანაშემწეებს პროცესის ყოველმხრივ გაშუქებაში და ამიტომ მთელ რიგ შემთხვევებში დამცველის და პროკურორის მონაწილეობა პროცესში არ არის სავალდებულო. კოდექსი უშვებს იმ შემთხვევებს, როდესაც საქმის გამოძიება შეიძლება ბრალდებულის არ ყოფნის დროს. (ბოლო არ არის მიღებული)...

ქრონიკა

გაზეთის მუდმივ თანამშრომლებს სთხოვენ შეიარონ კანტორაში (რუსთაველის პროსპექტი, 24) კუთვნილი ჰონორარის მისაღებათ.

◆ **კომუნალური მეურნეობა.** ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის სამიწადმომქმედო განყოფილებამ გამოყო ქალაქის კუკიის აგარაკში 75 დესიატინა მიწა ხორბლის და ქერის საკუთარი ანეულის დასათესათ (მშრალი მიწის დამუშავების წესით) მომავალი წლისათვის. მიწის ასეთივე ნაჭერი იქნება გამოყოფილი ამ დღეებში იმავე მიზნით ავლაბრის ქალაქის აგარაკში.

◆ **პროფტეხნიკური კურსები ტრამვაის მუშებისათვის** ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმმა დაამტკიცა ტრამვაის ადგილობრივ კომიტეტის მიერ წარმოდგენილი პროექტი ტრამვაის მუშებისათვის პროფტეხნიკური კურსების გახსნის შესახებ.

◆ **ცეცხლის ჩასაქრობი გადასახადი.** ბრანდ მაიორმა აღძრა საკითხი ქალაქის პურის საცხობებზე სპეციალური ცეცხლის საქრობი გადასახადის შემოღების შესახებ.

საქართველოს ნავთსადგურებში.

◆ **ფოთის ნავთსადგურში.** 12 მაისს ნავთსადგურიდან გავიდა რუსეთის პატარა ხომალდი „რცი“ ოჩემჩირში 33 ფუთი ტვირთით და 38 მგზავრით და ოსმალეთის იალქნიანი გემი „ხუდავერდი“ უტვირთოთ.

დღეს თეატრებში.

სახელმწიფო ოპერა—„სილვა“.

რუსთაველის თეატრი—სომხური წარმოდგენა.

პატარა თეატრი—ქართული წარმოდგენა.

სარევ. სამხატ. თეატრი—„ველური მეი“.

საკამერო თეატრი—სომეხთა საზოგად. საღამო.

მუშათა ცენტ. კლუბი—წარმოდგენა-მინიატიური.

ქართულ წითელ ლაშქ. ც. კლუბი—საღამო-სეირნობა.

თეატრი ბოჰემა—ყორღანოვის საღამო.

მ. კ. თეატრი—რუსული წარმოდგენა.

პროფკავშირთა კლუბი—სალიტერატურო საღამო.

კონსერვატორია—კონცერტი.

ცირკი—მრავალფეროვანი პროგრამა.

კინო-თეატრებში

აპოლო—მანონ ლესკო.

კინო-არსი—მხიარული ივონა.

მალეთის დიდი ეროვნული ყრილობის მთავრობა ვალდებულებას ღებულობს გაუადვილოს მოსაზღვრე ოლქების მცხოვრებლებს საზღვარზე გადასვლა იმ პირობით, რომ დაცულ იქნება შეღავათიანი საბაჟო, საპოლიციო და სანიტარული წესები, რომელთაც ამ საგნისთვის შეიმუშავებს შერეული კომისია.

მუხლი 8.

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა მთავრობა და ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის მთავრობა, იღებენ რა მხედველობაში, რომ ორივე მხარის სანაპირო ოლქების მცხოვრებთათვის აუცილებელია საზაფხულო და საზამთრო საძოვრები, რომლებიც საზღვრის მეორე მხარეზე იმყოფება, სთანხმდებიან მიანიჭონ ამ მცხოვრებლებს საზღვარს იქით მათი პირუტყვის გარეკის და ჩვეულებრივი საძოვრებით სარგებლობის უფლება. საბაჟო ფორმალობა, პოლიციური, სანიტარული და სხვა წესები, რომლების დაცვაც საჭიროა საზღვარზე გადასვლის დროს, შემუშავებულ იქნება შერეული კომისიის მიერ.

მუხლი 9.

რომ უზრუნველყოფილ იქმნეს სრუტეების გახსნა და მათში ყველა ხალხების თავისუფალი მიმოსვლა სავაჭრო ურთიერთობისათვის, ოსმალეთი და საქართველო სთანხმდებიან შავი ზღვისა და სრუტეების საერთაშორისო სტატუტის საბოლოო გამომუშავება გადასცენ სანაპირო ქვეყნების დელეგატებისაგან შემდგარ კონფერენციას, იმ პირობით, რომ მისგან გამოტანილი გადაწყვეტილებანი არ მიაყენებს დანაკლისს ოსმალეთის სრულს სუვერენიტეტს და აგრეთვე ოსმალეთისა და მისი სატახტო ქალაქის კონსტანტინოპოლის უშიშროებას.

მუხლი 10.

ხელშემკვრელი მხარეები სთანხმდებიან თავის ტერიტორიაზე არ მისცენ შედგენის ან ყოფნის უფლება ისეთ ორგანიზაციებს, რომლებსაც თავი მოაქვთ ხელშემკვრელთ მეორე მხარის ან მისი ტერიტორიის ნაწილის მთავრობად, არც ისეთ ჯგუფებს, რომლებსაც მიზნად აქვთ ხელშემკვრელთან ბრძოლა.

გამორკვეულად ითვლება ამ მუხლში ხსენებულ ოსმალეთის ტერიტორიად იგულისხმება ტერიტორია, რომელიც იმყოფება ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის მთავრობის უშუალო სამხედრო და სამოქალაქო გამგებლობაში.

მუხლი 11.

ხელშემკვრელ მხარეების მოქალაქეებზე, როცა ისინი მეორე მხარის ტერიტორიაზე იმყოფებიან, ვრცელდება ყველა უფლებანი და ვალდებულებანი, რომელნიც გამომდინარეობენ იმ ქვეყნის კანონებიდან, სადაც ისინი იმყოფებიან იმ გამონაკლისით, რომ ისინი თავისუფალნი არიან ეროვნული თავდაცვის ვალდებულებიდან.

ამ მუხლის დადგენილებიდგან გამონაკლისს შეადგენენ აგრეთვე კითხვები, რომლებიც შეეხებიან ხელშემკვრელ მხარეების მოქალაქეთა საოჯახო უფლებას, სამკვიდრო უფლებას და ამავე მოქალაქეების უფლებამოსილებას.

ეს კითხვები გადაიჭრება განსაკუთრებული შეთანხმებით.

მუხლი 12.

ხელშემკვრელი მხარეები, თითეული მხარის მოქალაქეთ, რომელიც მეორე მხარის ტერიტორიაზე იმყოფებიან, აყენებენ ყველაზე უფრო კეთილ განწყობილ ერის რეჟიმის პირობებში.

ამ მუხლს მხედველობაში არა აქვს ის უფლებები, რომლებსაც საბჭოთა რესპუბლიკები თავის ტერიტორიაზე ანიჭებენ ნაცვალგებით სხვა მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქეებს, აგრეთვე ის უფლებები, რომლებსაც ოსმალეთი ანიჭებს თავის მოკავშირე სამუსულმანო სახელმწიფოთა მოქალაქეთ.

მუხლი 13.

ყველა მცხოვრებს იმ ტერიტორიისას, რომელიც 1918 წლამდე რუსეთის ნაწილს შეადგენდა და რომელზედაც ოსმალეთის სუვერენიტეტი ცნობილი, საშუალება მიეცემა, თუ კი მოისურვებს, გამოვიდეს ოსმალეთის მოქალაქეობიდან, თავისუფლად დასტოვოს ოსმალეთი და წაიღოს თან თავისი ნივთები და თავისი ქონება, ან მათი ღირებულება.

აგრეთვე ყოველ მცხოვრებს იმ ტერიტორიისას, რომელზედაც სუვერენიტეტი ოსმალეთმა საქართველოს დაუთმო, საშუალება მიეცემა, უკეთუ მოისურვებს, გამოვიდეს საქართველოს მოქალაქეობიდან, თავისუფლად დასტოვოს საქართველოს ტერიტორია და წაიღოს თან თავისი ნივთები, ქონება ან მათი ღირებულება.

ზემოხსენებულ მცხოვრებთ სამხედრო ბეგრის მოხდის ვადა გადაედებათ ერთი თვით იმ დღიდან, როდესაც დადგენილ წესით შეიტანენ განცხადებას, რომ მათ სურთ დასტოვონ ხსენებული ტერიტორია.

მუხლი 14

ხელშემკვრელთ მხარეები ვალდებულნი არიან ამ ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან, ექვსი თვის განმავლობაში შეკრან სპეციალური შეთანხმება 1918—1921 წლების ომების ლტოლვილთა შესახებ.

მუხლი 15.

თითეული ხელშემკვრელი მხარე ვალდებულია ამ ხელშეკრულების ხელის მოწერის შემდეგ დაუყოვნებლივ გამოაცხადოს მეორე მხარის მოქალაქეთა სრული ამნისტია იმ დანაშაულობათათვის, რომელიც ჩადენილია კავკასიის ფრონტზე ომების გამო.

მუხლი 16

ხელშემკვრელი მხარეები თანახმანი არიან ამ ხელშეკრულების ხელის მოწერის შემდეგ ორი თვის განმავლობაში ნაცვალგებით დააბრუნონ სამშობლოში ის სამხედრო და სამოქალაქო ტყვეები, რომლებიც დარჩენილი არიან ერთ-ერთ ხელშემკვრელ მხარის ტერიტორიაზე.

მუხლი 17.

თავიანთ ქვეყნებს შორის მიმოსვლის და ცნობების მოწოდების განუწყვეტელობის უზრუნველსაყოფად ხელშემკვრელი მხარეები ვალდებულებას კისრულობენ, ურთიერთშორის შეთანხმებით, მიიღონ ყოველგვარი ზომები, რომ შენარჩუნებულ და განვითარებულ იქნეს რკინის გზის, ტელეგრაფის და საერთო ურთიერთობის სხვა საშუალებანი. აგრეთვე უზრუნველყოფილ იქნეს ხელშემკვრელ მხარეთა შორის ხალხის და საქონლის მოძრაობა, ყოველგვარ დაბრკოლების გარეშე, მაგრამ ამასთანავე მიღებულია, რომ, როგორც მგზავრების მოძრაობის, ან ერთი ქვეყნიდან მეორეში შესვლის და უკან დაბრუნების, ისე საქონლის გატან გამოტანის შესახებ სავსებით დაცულ იქნება ის წესები, რომლებიც ამის შესახებ დადგენილია ამა თუ იმ ქვეყანაში.

მუხლი 18.

კომერციული დამოკიდებულების მოსაწყობად და ეკონომიური, ფინანსიური და სხვა საკითხების მოსაწესრიგებლად, რაც საჭიროა ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეთა შორის მეგობრული განწყობილების განსამტკიცებლად, ამ ხელშეკრულების ხელის მოწერის შემდეგ დაუყოვნებლივ იქნება მოწვეული თბილისში კომისია დაინტერესებული ქვეყნების წარმომადგენელთაგან.

მუხლი 19.

ხელშემკვრელი მხარეები ვალდებულნი არიან ამ ხელშეკრულების ხელის მოწერის შემდეგ სამი თვის განმავლობაში დასდონ საკონსულო კონვენციები.

მუხლი 20.

ეს ხელშეკრულება ოსმალეთის, სომხეთის, აზერბეიჯანის და საქართველოს მთავრობას შორის დადებული საჭიროებს რატიფიკაციას.

რატიფიკაციების გაცვლა-გამოცვლა მოხდება ერევანში, რამდენადაც შესაძლებელია, ახლო მომავალში.

ეს ხელშეკრულება შევა ძალაში სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის შემდეგ, გარდა 6, 14, 15, 16, 18 და 19 მუხლ., რომლებიც დაუყოვნებლივ შედიან ძალაში ხელშეკრულების ხელის მოწერის შემდეგ.

ზემოაღნიშნულის დასადასტურებლად ხსენებულმა რწმუნებულებმა ამ ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს და თავისი ბეჭდებით განამტკიცეს.

ეს ხელშეკრულება შედგენილია ქალაქ ყარსში 5 ეგზემპლიარად,—13 ოქტომბერს 1921 წ. (1337 წ.).

დანართი I.

ჩრდილო აღმოსავლეთი საზღვარი ოსმალეთისა დადგენილია შემდეგნაირად (თანახმად რუსეთის გენერალური შტაბის რუქისა, მასშტაბით 1/210,000—5 ვერსი დიუმზე:

სოფელი სარფი შავ ზღვაზე—მთა ყარა-შალვარი (5.014), შემდეგ წყალთა გამყოფზე რ. ც. სთან (Р. Ц), რომელიც მდებარეობს სოფელ ზემო მარადიდის ჩრდილოეთით, გადასჭრის მდინარე ჭოროხს სოფელ ზემო მარადიდის ჩრდილოეთით და შემდეგ მისდევს სოფელ საბაურის ჩრდილოეთით, მთა ხედის მთა (7.052)—მთა ქვაკიბე სოფელ ქვათარეთ წყალთა გამყოფი ხაზი მთა მეძიბნამთა გერათკესნი (6.468)—მისდევს შემდეგ მთა კორდას (7,910) წყალთა გამყოფ ხაზს შავშეთის ქედის დასავლეთი შტოთი გამოდის ყოფილი ართვინის ოლქის ძველ ადმინისტრატიულ საზღვარზე, მისდევს შავშეთის ქედს, გამოდის მთაზე — სარი-ჩაი (ყარა იისალ) (8.478)—ყვირილის უღელტეხილი, ხოლო აქედან გამოდის ყოფილი არტაანის ოლქის ძველ ადმინისტრატიულ საზღვარზე მთა კანნა-დაღიან, აქედან მიემართება რა ჩრდილოეთით, მიდის მთასთან თლილ ([illegible]) (8 357)—მისდევს რა არტაანის ოლქს წინანდელ ჩრდილო აღმოსავლეთით მდინარესთან ფოცხოვ-ჩაი და მისდევს ამ მდინარეს სამხრეთისაკენ სოფელ ჩანჩხარის პუნქტამდე, აქ სტოვებს ამ მდინარეს და მიდის რა წყალთა გამყოფზე, გამოდის მთაზე აირილ-ანბაში (8512); გასდევს მთებზე კოლთაფ (8463)—მ ა ხარმან თაფა (9709) მიაღწევს მთამდე კარის სირი (8681) და მისდევს მდინარეს კარზამეთ ჩაის ვიდრე მდინარე მტკვრამდე, აქედან მისდევს მდინარე მტკვრის ტალვეგს პუნქტამდე სოფ. კარზანახევის აღმოსავლეთით, სადაც შორდება მდინარე მტკვარს, გასდევს რა მთა ყარა ოღლის (7259) წყალთა გამყოფ ხაზს, საიდანაც სტრის ორ ნაწილად ტბა ხოზაფინს, გამოდის მწვერვალზე 7530 (7560) ხოლო აქედან მთაზე გეკ დაღი (9.152) მიდის მთებზე უჩ-თაფალარი (9783), სადაც თავდება საზღვარი საქართველოსთან და იწყება საზღვარი სომხეთთან; მთა ტაიყალა (9.716)—მწვერვალი 9.065—სადაც სტოვებს არტაანის ოლქის წინანდელ საზღვარს და მიდის მთებზე დიდი [illegible] (9963 ანუ 9973) 8828 ანუ 8827 7602 და შემდეგ პირდაპირი ხაზით მწვერვალზე 7.518, გადის რა სოფელ იბიშის აღმოსავლეთით და შემდეგ მთაზე ყიზილდაშა (7.439 ანუ 7440 ანუ 7490) სოფელი ახალი ყიზილდაში—ხოლო აქედან მისდევს მდინარეს, რომელიც მიმდინარეობს ახალ ყაზი დაშზე, მის მოსაბრუნამდე, რომელიც არის ყარამამედის ჩრდილო დასავლეთით, შემდეგ მიდის წყალთა გამყოფზე და გამოდის მდინარე ჯამუშზე ჩაიზე *), რომელიც მდებარეობს სოფლების დელავერის დიდი ქმლის და თიხნისის აღმოსავლეთით).—სოფლებზე ვართანლი და ბაშ-შურაგელი, მისდევს აღნიშნულ მდინარეს და გამოდის მდინარე არფა ჩაიზე სოფელ ქიალიალას ანუ ქალაქის ჩრდილოეთით,—საიდანაც მისდევს რა მდინარე არფაჩაის ტალვეგს გამოდის მდინარე არაქსზე, მისდევს არაქსის ტალვეგს ვიდრე ქვემო ყარა სუს შესართავამდე, სადაც თავდება საზღვარი უკანასკნელ სახელმწიფოსთან.

იგულისხმება, რომ საზღვარი გასდევს წყალთა გამყოფ ხაზზე ნაჩვენებ მწვერვალებისა. ([illegible]).

დანართი II

მიღებულია რა მხედველობაში, რომ სასაზღვრო ხაზი, როგორც ეს ნაჩვენებია 1 დანართში, მისდევს მდინარეების არფა ჩაის და არაქსის ტალვეგებს, ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის მთავრობა ღებულობს ვალდებულობას გადასწიოს ხაზი ბლოკპოსტიდან 8 ვერსის მანძილზე ალექსანდროპოლ-ერევანის რკინის გზიდან [illegible] მოხაზულებით არფა ჩაის რაიონში და ოთხი ვერსის მანძილზე ზემოაღნიშნული რკინის გზის ხაზიდან არაქსის რაიონში. ხაზი, რომელიც ამოსაზღვრავს ზემოხსენებულ რაიონებს, ნაჩვენებია ქვემოდ არფა ჩაის ზონისათვის § 1 ის პუნქტში A და B და არაქსის ზონისათვის § 2 ში.

§ 1. არფა ჩაის ზონა.

A) სამხრეთ აღმოსავლეთით ვართანლიდან, აღმოსავლეთით უზუნქილისადენ; მთაზე ბოზური (5.086,—6084—5047, აღმოსავლეთით ქარმირვანქ ქუჩ-თადადან (657 ანუ 5578), აღმოსავლეთით არაზ ოღლიდან, აღმოსავლეთით ანიდან, მიაღწევს არფაჩაის [illegible] დასავლეთით.

B) შორდება არფა-ჩაის აღმოსავლეთით მწვერვალოდან 5019, მიდის პირდაპირ მწვერვალობაზე 5481—4 ნახ. ვერსით აღმოსავლეთით ყიზილყულადან, 2 ვერსით აღმოსავლეთით ბოჯალიდან, შემდეგ მდინარე დიგორჩაი მისდევს ამ მდინარეს გასწვრივ ვიდრე სოფლამდე დუზ ქუჩუტი, მიდის პირდაპირ ყარაბახის ნანგრევების ჩრდილოეთით და გამოდის არფაჩაიზე.

§ 2. არაქსის ზონა.

პირდაპირი ხაზი ხარაბა ალ-ჯანსა და სოფელ სელიმანდიზას შუა. ზონებში, რომელიც ერთის მხრით განისაზღვრება ალექსანდროპოლ ერევნის რკინის გზის ხაზით, და მეორეს მხრით ხაზით, რომელიც მდებარეობს 8 და 4 ვერსის მანძილზე ზემონაჩვენებ რკინის გზის ხაზიდან, ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის მთავრობა ღებულობს ვალდებულობას არ აავოს არავითარი ფორტიფიკაციული სიმაგრეები (მანძილთა ეს ხაზები იმყოფება ზემონაჩვენებ ზონების გარეშე), და არ იყოლიოს მასში რეგულიარული ჯარი, მაგრამ იტოვებს უფლებას იყოლიოს ზემოაღნიშნულ ზონებში ჯარი საჭირო წესიერების დასაცველად და უშიშროებისა და ადმინისტრატიულ საჭიროებისათვის.

([illegible]).

დანართი III.

ტერიტორია ნახჩევანისა.

სოფელი ურმია, შემდეგ პირდაპირი ხაზი სადგ. არაზდაიანზე (შედის სომხეთის ს. ს. რესპუბლიკის საზღვრებში), შემდეგ პირდაპირი ხაზი მთაზე დაშბურუნი (3142) [illegible] (4108), [illegible] (სომხეთი), მიდის წყალთა გამყოფით მთაზე ბაგარსახი (6.607 ანუ 6587), შემდეგ ყოფილ ადმინისტრატიულ საზღვარზე ერივნისა და ნახიჩევანის მაზრებისა, 6629 ზე გავლით მთამდე კეჩელდაღი (6839 ანუ 6930) და შემდეგ მწვერვალებზე 3080—საიათ დაღი (7868) სოფელი კურთ კულაღი (კურთ-კულაგი) მთა გამესურ დაღი (8160) იქვე ვალო 8022—კუკი-დაღი (10282) და აღმოსავლეთი ადმინისტრატიული საზღვარი ყოფილი ნახიჩევანის მაზრისა.

ელიავა. ამ ხელშეკრულებას, ამხანაგებო, აგრეთვე ახლავს სხვა და სხვა დანართები და ქარტა, შემდეგ არის მოყვანილი ის პუნქტები, სადაც არის გაყვანილი დემარკაციული საზღვრები და აგრეთვე ზოგიერთი პირობები ნეიტრალურ ზონის შესახებ. შემდეგ არაქსის ზონისა, არფაჩაის ზონისა და აგრეთვე ნახიჩევანის შესახებ (რუსულად). ეხლა რუსულ ტექსტს მოგახსენებთ. (კითხულობს რუსულად).

ელიავა. რაც შეეხება საძოვარ ადგილების მათი საზღვრების შესახებ ჩვენ ამ კონფერენციამ უკვე მოაწერა ხელი და უკვე ეცნობა ორივე მხარის მთავრობას, დანარჩენი შეთანხმებები მუშავდება და ახლო მომავალში ხელმოწერილი იქნება.

ანგორის მთავრობასთან ხელშეკრულების რატიფიკაცია მოხდა ყარსში და ჩვენ ამ საკითხის განხილვას შევუდექით ეხლა იმიტომ, რომ ვთვლით საჭიროდ ასეთი დიდ მნიშვნელოვანი ხელშეკრულებანი განხილულ და დამტკიცებულ იქნეს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ, რომელიც უკვე შეიკრიბა საგანგებო სესიაზე და რომლის უმთავრეს მიზანს შეადგენს ამ ხელშეკრულების რატიფიკაცია.

(შემდეგი იქნება).

---

*) სახელწოდება ჯამუშ ჩაი არ არის ნაჩვენები რუქაზე 1899 წლის.

ეროვნული

მოწოდება

თანახმად საქ. სოც. საბჭ. რევოლ. კომიტეტის მ. წ. 4 მარტის დადგენილებისა, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება ცნობილია, როგორც ავტონომიური და იურიდიულ უფლებიანი ერთი დაწესებულება, რომელიც მოქმედებს 1864 წლის ჟენევის კონვენციის თანახმად.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების უახლოესი დანიშნულებაა მიაღწიოს ომიანობის და ყოველ გვარი საყოველთაო უბედურების დროს ხელი მოუმართოს თავიანთი სამკურნალო-სანიტარიო ორგანოებს, დაჭრილ და ავადმყოფ მეომართა, სამხედრო ტყვეთა და რაიმე უბედურებისაგან დაზარალებულ მცხოვრებთა, დახმარების საქმეში.

დასახულ მიზნის განსახორციელებლად საჭიროა უმთავრესად წითელი ჯვრის საზოგადოების წევრთა გამრავლება. ამის გამო, მოუწოდებთ ყველა მშრომელ ხალხს, პროლეტარულ ორგანიზაციებს, კავშირებს, დაწესებულებებს და ყველას, ვინც კი თანაუგრძნობს წითელი ჯვრის დანიშნულებას, ჩაეწერონ საზოგადოების წევრებად.

საწევრო გადასახადი დაწესებულია 10.000 მან., საზოგადოების წევრად ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 10 ს-დან ნაშუადღევის 1-ლ საათამდე, გარდა კვირა უქმე დღისა, წითელი ჯვრის კანცელარიაში, თაიროვის ქუჩ. № 3.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარი **გ. კუჭაიძე.**

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების თავმჯდომარე **ი. ქუთათელაძე.**

სასურსათო კომისარიატის ცნობები

კოოპერაცია.

თბილისის მუშათა მთლიან კოოპერატივში დუქნების ვაჭრობა. აპრილის განმავლობაში თბილისის მუშათა მთლიანი კოოპერატივის დუქნების საერთო ბრუნვა, სასურსათო კომისარიატის შეკვეთის გამოკლებით (იანვრის, თებერვლის და სააღდგომო ულუფის გაცემა), უდრის შემდეგს: 2,983,400,000 მან. ცალ-ცალკე დუქნების მიხედვით ეს ბრუნვა ნაწილდება შემდეგ ნაირად: (მილიონ მანეთობით).

თეუხის მაღაზია	678,7
სარძეო პუნქტი	458,5
ცენტრალური მაღაზია	378,5
№ 1 მაღაზია	294,8
№ 2 მაღაზია	260,5
სარძეო გასტრონომიული	210,4
№ 7 მაღაზია	181,7
№ 10 მაღაზია	172,1
№ 5 მაღაზია	163,1
№ 8 მაღაზია	151,8
ღვინის სარდაფი	33,3

ულუფები. აპრილში მუშათა მთლიან კოოპერატივმა დაურიგა მუშებს და მოსამსახურეებს, რომლებიც იმყოფებოდენ სახელმწიფო მომარაგებაზე იანვრის, თებერვლის და სააღდგომო ულუფა. გაცემულ იქნა სულ ულუფის შემდეგი რაოდენობა:

იანვარში . . .	16635
თებერვალში . . .	16896
სააღდგომოდ . . .	14577

გაცემულ ულუფათა საერთო ჯამი უდრის 13,520,604,500 მანეთს. მუშათა მთლიან კოოპერატივს სასარგებლოდ ერიცხება საკომისიოთ 6 პროცენტი, რაც შეადგენს 81,236,270 მანეთს.

პურის ოპერაციები. აპრილის განმავლობაში პურის ოპერაციები გამოიხატება შემდეგი ციფრებით: სახელმწიფო მომარაგებაზე მყოფ წარმოებებს და დაწესებულებებს მიეცათ 23,385 ფუთი, მათ რიცხვში:

მუშებს და მოსამსახურეებს . .	19,738 ფ.
საავადმყოფოებს, თავშესაფრებს და სხ.	2,209 ფ.
დანარჩენთ . .	1 436 ფ.

პური ეძლეოდათ აგრეთვე სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილ წარმოებებს და დაწესებულებებსაც ხელშეკრულების მიხედვით:

ტრამვაის . .	1517 ფ. 32 გ.
ფეიქრების . .	54 ფ. 15 გ.
სახელმწიფო ქაღალდების ექსპედიციის . .	143 ფ. 18 გ.
ცეკავშირს . .	158 ფ. 5 გ.
პოლიგრაფიულ განყოფილებას . .	866 ფ. 2 გ.
თამბაქოს ტრესტს .	71 ფ. 3 გ.

სახალხო სასურსათო კომისარიატის აბრეშუმის პარკის ოპერაცია.

(აბრეშუმის პარკის ოპერაციებისათვის საგანგებო რწმუნებულის ამხ. დავიდოვის მოხსენებიდგან).

წარსული წლის კამპანია დაიწყო გაურკვეველი გეგმით და ხელმძღვანელობით. მწარმოებელი გლეხები, დაპირებულ ექვივალენტის და დივიდენდის თავის დროზე მიუღებლობის გამო, უნდობლობით უყურებდნენ მთავრობის წარმომადგენლებს. კერძო მყიდველებმა და სპეკულიანტებმა ისარგებლეს ამით და მწარმოებლები თავის მხარეზე გადაიყვანეს. ამ დანაკლისის გამოსწორებით მთავრობამ შესძლო პარკის საქმის თავის ხელში აღება, ფაქტიურად განხორციელდა მონოპოლია და დაამარცხა კერძო მყიდველების და სპეკულიანტების მოღვაწეობა. წარსული წლის მოსავლის კამპანიით შეგროვებულ იქნა 80.000 ფუთი. ნედლი პარკი—12.600 ფ., გამხმარი—4.200 ფ. ამოხვეული აბრეშუმი—120 ფ. გასული ორი წლის განმავლობაში, როცა არსებობდა მონოპოლია მოგროვებული იქნა: 1919 წ.—1500 ფ. გამხმარი პარკი (20,000 ფ. ნედლი პარკის მოსავლის დროს) და 1920 წ.—4,800 ფ. გამხმარი პარკი (50,000 ფ. ნედლი პარკის მოსავლის დროს). გლეხები ჰყიდდენ მცირე ნაწილს თავის საკუთარ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შემდეგ. ომამდე საქართველოში ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას უნდებოდა მოსავლის 15 პროცენტი; უკანასკნელ წლებში მანუფაქტურის კრიზისის გამო მოთხოვნილება გაიზარდა და 1921 წელს, ავიდა მოსავლის 40 პროცენტამდე.

მიმდინარე წელში, დასამზადებელ ადგილებისთვის ფულის და საქონლის თავის დროზე მიწოდებით, შეიძლება დამზადდეს 30,000 ფ. ნედლი ან 10,000 ფ. ხმელი პარკი. აუცილებელი აპარატი—თანამშრომლებისა, ტეხნიკური და სამეურნეო მოწყობილება უკვე მოიპოვება. რაიონული კოოპერატივები ითამაშებენ შუამავლის როლს. იმ გარემოებით, რომ მოწყობილობისათვის, პარკის გახმობისათვის, დახარისხებისათვის და სხვა საჭირო იქნება დაახლოვებით 64.400 მილ. მან., რომლის გაღების საშუალება მთავრობას არ აქვს, მიმდინარე დამზადება უნდა ვაწარმოვოთ, წარსული მაგალითის მიხედვით, ავანსის წესით, ე. ი. მწარმოებლებს მიეცემა ღირებულების ნაწილი და ამას გარდა განაღდების შემდეგ იქნებიან მონაწილე დივიდენდის. ავანსის თანხა გაიცემა ნაწილი ფულის ნიშნებით და ნაწილი მანუფაქტურით. ავანსის დარიგებისათვის აუცილებელია 600 000 არშ. მანუფაქტურა და 12.000 მილ. მანეთი. 1921 წლის უკანასკნელ სამი თვის საზღვარ-გარეთის ბაზრის ფასების მიხედვით, 30 000 ფ. ნედლის ან 10.000 ფუთი ხმელი პარკის რეალიზაცია მოგვცემს 125 მილიარდ მანეთს, ხოლო რეალიზაციის ხარჯების გამოკლებით წმინდა მოგება დარჩება დაახლოვებით 92,350 მილ. მანეთი. 30 პროცენტი აღნიშნულ თანხის ე. ი. 27,705 მილ. მანეთი დაურიგდება მწარმოებელ გლეხებს. თუ გამოვაკლებთ დანარჩენ თანხას 10 პროცენტს, ე. ი. 6,464,500 ათას მანეთს, რომლებიც კოოპერატივებს მიეცემა ჯილდოთ, დარჩენილი თანხა 58.380,5 მილ. მ. ქართულ ბონებით შეადგენს სახელმწიფოს შემოსავალს მიმდინარე კამპანიაში. ვინაიდან წარსული წლის მოსავალი ჯერ კიდევ არ არის განაღდებული და გლეხებს კიდევ არ მიუღიათ თავისი წილი, ამისათვის აუცილებელია ეხლა მიეცეს მათ ხვედრი დივიდენდის ნაწილი, უმეტესად მანუფაქტურით. ამას მოუნდება 80-დან 100 ათასამდე არშ.

სახალხო სასურსათო კომისარიატის კოლეგიამ მოიწონა მოხსენება და დაავალა ამხ. დავიდოვს მიიღოს სასწრაფო ზომები გასული წლის პარკის მოსავლის რეალიზაციისათვის.

სასოფლო-სამეურნეო ფრონტზე

თესვის კამპანია კახეთში. სიღნაღის მაზრაში მოდის ხშირი წვიმები. გლეხების განწყობილება ნერვიულია—ეშინიათ ნათესების დასეტყვის. სიმშილთან დაკავშირებით მაღალ და ძვირფასიან კულტურიდან გადადიან დაბალ კულტურაზე. სოფელ „წითელი ქვის“ მცხოვრებლების მიერ აღძრულია შუამდგომლობა მათ სოფლების მოსაზღვრე სათიბი ადგილების მათზე გადაცემის შესახებ. დათესილი ადგილების სივრცე ბევრით ბევრით აღემატება შარშანდელს, მაგრამ მათი გაზრდა მოხდა უმთავრესად ვენახების ხარჯზე, რომლის ადგილას გლეხებმა დასთესეს სიმინდი და ხორბალი. როგორც ხორბლეულს ისე ვენახებს ძლიან კარგი პირი უჩანს. ზამთრის ნათესები თაველს იღებს. 10 დღის შემდეგ დაიწყება ქერის მომკა.

თბილისის მაზრაში. სეტყვა მოვიდა ფართო ზოლათ სოფლებს საგარეჯოსა და კაკაბეთის შუა. სეტყვა მტრედის კვერცხის ოდენა იყო. ცვიოდა 7—8 წამის განმავლობაში. დაზიანდნენ უმთავრესად ზამთრის ნათესები და ვენახები. ზამთრის ნათესების განსაკუთრებით თაველი დაზიანდა. საერთოდ ნათესების და ვენახების დაზიანება დიდი არ არი. სეტყვა მოვიდა აგრეთვე მარტყოფის და წყნეთის რაიონებში.

გორის მაზრაში. მოსავალი საშუალოზე უფრო კარგი იქნება. მცხოვრებლებს დიდი იმედი აქვს მოსავლის. სურსათის საერთო კრიზისის გამო, გლეხებმა მოაწყო ზედმეტი პროდუქტების აღრიცხვა, რომლებიც ნაწილდებიან ყველაზე უფრო გაჭირვებულებს შორის.

წარმოებითი პროფკავშირებში

ცირკულიარულად № 32.

აჭარის და აფხაზეთის პროფკავშირთა საბჭოებს, ყველა სამაზრო პროფესიონალურ ბიუროებს და ს. პ. კ. საბჭოს რწმუნებულებს.

ს. პ. კ. საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად საფეიქრო მრეწველობის მუშაკთა კავშირი უნდა გამოეყოს ფეიქარ-მქირავალთა გაერთიანებულ კავშირიდან და დარსდეს ფეიქართა დამოუკიდებელი კავშირი. გაუწყებს რა ამას, საქართველოს პ. კ. საბჭოს საორგანიზაციო განყოფილება წინადადებას გაძლევს თქვენ:

1. გამოყოთ დაუყონებლივ დროებითი გამგეობა ან სათანადო ორგანო, რომელმაც უნდა აწარმოოს მოსამზადებელი საორგანიზაციო მუშაობა.

2. მოახდინოთ ფეიქართა გადამიჯვნა, საფეიქრო მრეწველობის წარმოებათა აღრიცხვით და ასეთების ფეიქართა გამგეობაზე გადაცემის გზით.

3. ხელი შეუწყოთ ფეიქართა ადგილობრივ კავშირს ცენტრალურ საორგანიზაციო ბიუროსთან მჭიდრო კავშირის დამყარებაში.

4. წარმოადგინოთ საფეიქრო მრეწველობის წარმოებათა სწორი სია მასში მომუშავე მუშათა რაოდენობის აღნუსხვით და გააგზავნოთ აღნიშნული მასალა ს. პ. კ. საბჭოში და ფეიქართა ცენტრალურ საორგანიზაციო ბიუროში.

ს. პ. კ. ს. მდივანი **კიკნაძე.**

ს. პ. კ. ს. საორგ. განყ. გამგე **ოდილავაძე.**

პროვინციაში

აბაშა

1922 14 მაისს აბაშას ეწვია ამხ. ფილიპე მახარაძე.

კვირაა, ტრიბუნა მორთულია ვარდ ყვავილებით მთელ დაბას ამშვენებს წითელი დროშები და ყვავილები, ყველა დაწესებულებები მორთულია საზეიმოდ. აბაშის სადგურიც ზეიმობს. ხალხი მიდის ყველა კუთხიდან. რკინის გზის ბაღში ტევა არ არის. აგერ მოდიან რაზმელებიც, აგერ მილიციის ცხენოსანთა რაზმი. უკრავს მუსიკა.

სადგურში ზარი დაჰკრეს და ყველა იქით გაექანა, სადგურები სავსეა ხალხით. ადგილობრივი მუსიკის გუნდი და სენაკიდან ჩამოსული მომღერალთა გუნდი მზად არიან ამხ. ფილიპეს შესახვედრათ. გამოჩნდა მატარებელი და კიდევაც მოადგა სადგურს, მუსიკა უკრავს. იმ ვაგონში, სადაც ამხ. ფილიპე იმყოფება, შედის ამხ. სამსონ მამულია. აგერ გამოჩნდნენ კიდეც ამხ. ფილიპე და მალაქია ტოროშელიძე.

ამხ. ფილიპე, მალაქია და სამსონ მამულია მიდიან ტრიბუნისაკენ. იქ აუარებელი ხალხია, წინ მუსიკა და გუნდი. ტრიბუნის წინ საგანგებო დანიშნულების რაზმი და ცხენოსანთა მილიცია, რომელიც ფილიპეს მისალმებაზე გაუმარჯოს ძახილით ეგებიან. ალლუმის მიღება გათავდა და ფილიპეც ტრიბუნაზე ადის. მიტინგს ხსნის ამხ. სამსონ მამულია მისასალმებელი სიტყვით. ამხ. ფილიპეს გამოსვლას ტრიბუნაზე ეგებებიან ტაშის ცემით. ამხ. ფილიპე ამბობს სიტყვას. სამარისებური სიჩუმეა. ამხ. ფილიპემ მკაფიოდ და გარკვევით მიმართა ხალხს. ილაპარაკა ერთი საათი, ხალხმა ტაშის ცემით დაჯილდოვა. მერე სიტყვას ამბობს ამხ. მალაქია ტოროშელიძე. იმასაც ხალხი აჯილდოვებს ტაშის ცემით. მიტინგი დახურა ამხ. სამსონ მამულიამ. ფილიპე ჩამოდის ტრიბუნიდან და მივდივართ აბაშის რაიპარტკომისაკენ, რომლის შესავალს ამშვენებს ფილიპეს სურათი. ხალხი არ იშლება. ამხ. ფილიპეს ვარდ ყვავილებით აჯილდოვებენ. ის შევიდა პარტკომის შენობაში დასასვენებლად, და მერე უნდა გაემგზავროს სამიქაოს თემში ცხენის წყლის დამბის სანახავად.

გახკაჯ.

ბიბლიოგრაფია

ყოველთვიური სამეცნიერო-საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალი „მომავალი“, (მარტი—1922 წ.—აპრილი, № 4—5) ორგანო საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტისა. გვერ. 49.

გამოვიდა საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობის ჟურნალი: „მომავალი“ № 4—5.

უნდა ითქვას, რომ დასახელებული ჟურნალი დიდ იმედებს იძლევა ჩვენი კომუნისტური ახალგაზრდობის შესახებ, ჩვენ ვიცით, რომ ახალგაზრდობა საზოგადოთ უფრო მეტი გატაცებით ეწაფება ცოდნას, როგორც პრაქტიკულსა ისე კიდევ უფრო თეორეტიულსაც, ვინემ ხან შესულები.

და ამას კიდევაც ამტკიცებს ჩვენი, ქართველი კომუნისტური ახალგაზრდობა. მათი ჟურნალი „მომავალი“ მართლაც რომ სამეცნიერო ჟურნალია და ამ მხრივ სავსებით ამართლებს თავის სახელწოდებას: სამეცნიერო საპოლიტიკო ჟურნალი. მასში მოთავსებული წერილები უმთავრესად თეორეტიული ხასიათისაა, და ეს მით უფრო საგულისხმიეროა, რომ ეს წერილები თვით ახალგაზრდობის წერილებია, რომლებიც არკვევენ თავისი ცოდნის მიხედვით დღევანდელი საზოგადოებრივი მოძრაობის განვითარებას სწორეთ მეცნიერული კომუნიზმის თვალსაზრისით.

„ორი გზა“ დ. გვაზავას, „ევოლიუცია და რევოლიუცია“ დ. აროშიძის, „საწარმოვო ძალები და მათი როლი საზოგადოებაში“ მ. კ., „კაპიტალიზმის ევოლიუცია“ გერ. სულორელის, „ჩვენი დროის ინტელიგენცია“ კ. ორაგველიძის, და სხვა, აშკარა მაჩვენებელია იმის, თუ როგორ კარგათ მოუმარჯვებიათ ჩვენ ახალგაზრდებს პროლეტარიატის მასწავლებლების, კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის მიერ დამუშავებული მეცნიერული კომუნიზმი, და როგორი სისწორით არკვევენ ამ დიდებული იარაღის შემწეობით თანამედროვე საზოგადოებრივ განვითარებასა და მის კანონებს.

ჟურნალი „მომავალი“ უტყუარი სარკეა ჩვენი კომუნისტური ახალგაზრდობის იდეიურათ განვითარებისა და ამავე დროს საშუალებაც მის ჩამორჩენილ წრეების კულტურული ამაღლებისათვის.

მასთან ერთად იგივე ჟურნალი პირველი მეცნიერული ჟურნალია ჩვენში დღევანდელ შექმნილ პირობებში, რომელიც მეცნიერულათ ასაბუთებს (რამდენათაც კი შესწევთ ეს ჩვენს ახალგაზდებს მათი გონებრივი განვითარების მიხედვით) დღევანდელ ჩვენს გარდამავალ ცხოვრებას და არკვევს მარქსიზმის თვალსაზრისით თანამედროვე საერთაშორისო რევოლიუციონურ მოძრაობის შემდეგ განვითარებას. ვამბობთ პირველად, ვინაიდგან ჯერჯერობით პარტიასაც კი არ აქვს ასეთი ხასიათის ჟურნალი, იმ პარტიას, რომელიც სათავეში უდგას ჩვენს მუშათა სახელმწიფოს და ხელმძღვანელობს მის აღმშენებლობითი მუშაობას ყველა დარგებში, მაშასადამე, პოლიტიკურ განათლებასაც.

ამიტომ ის გამოსადეგი და აუცილებელი საჭიროა არა მარტო კომუნისტურ ახალგაზრდობისათვის, რომელიც გაფაციცებით ეწაფება პროლეტარულ მეცნიერების შესწავლას, რაკი მის საშუალება და შეძლება მიეცა, არამედ ჩვენი პარტიის საგრძობი ნაწილისათვისაც, რომელსაც, თუმცა პარტიაში კარგა ხანია არსებობს, მაგრამ საშუალება არ ქონებია განეხილოდა მარქსიზმის ანბანს მაინც, რომელიც ძლიერი და უტყუარი იარაღია თანამედროვე ცხოვრების ასავალ-დასავალის გასაგებათ და მისი შემდეგი განვითარების გასათვალისწინებლათ.

ამ მხრივ ეს ჟურნალი ღირსია ყურადღების და გავრცელების, რათა კიდევ უფრო მეტი ენერგიითა და ხალისით განაგრძოს ეს დაწყებული საქმე ახალგაზრდობის გათვითცნობიერებისა მარქსისტულ ნიადაგზე და მით მისცეს მომავლისათვის პარტიას, რომელიც ძალზე საჭიროებს მარქსისტულათ საკმაოთ გათვითცნობიერებულ რიგებს, მომზადებული **მარქსისტი** ამხანაგები.

და რომ ეს კიდევაც ასე იქნება, ამას დღესვე ვამჩნევთ უკვე კომუნისტურ ახალგაზრდობას დასახელებული ჟურნალის შემწეობით, რომელიც აშკარად ღაღადებს იმაზე, რომ ჩვენი პარტიის მომავალი უზრუნველყოფილია ასეთი ინტელექტუალური ძალებით და „მამების“ ადგილს დაიკავებენ და მათ მიერ დაწყებულ დიად საქმეს ღირსეულად დააგვირგვინებენ დღევანდელ პროლეტარულ რევოლიუციის ჭაბუკები, რომლებიც შეიარაღებულნი უტყუარი პროლეტარულ მეცნიერებით მხნეთ შეუდგებიან „მამების“ მიერ დაწყებულ ახალ, პროლეტარული ქვეყნის მორთვას და მოწყობას.

ს ა.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ცირკულიარული.

ინსტრუქცია

საქართველოს ლტოლვილთა მოზღვავების საწინააღმდეგო ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ, რომელიც შესრულებულ უნდა იქნეს თანახმად ს. ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა № 15.

მიმდინარე წლის 4 მაისის № 2 გაზეთ „პრავდა ზაკავკაზიაში“ გამოქვეყნებულ ს. ს. ს. რ. სახალხო კომისართა დადგენილების № 15 მე 4 მუხლის შესასრულებლად საქართველოში ლტოლვილთა მოზღვავების საწინააღმდეგო ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ ს. ს. ს. რ. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი აცხადებს შემდეგ ინსტრუქციას:

§ 1.

წინადადება ეძლევა ყველა მოსაზღვრე აღმასკომებს მილიციის საშუალებით შეკრან საქართველოს საზღვრები.

§ 2.

რისთვისაც შემჩნეულ ადგილებში, სადაც ლტოლვილთა მომეტებული რიცხვის დენა ხდება ყოველი მოსაზღვრე აღმასკომი აწესებს თავიანთ უბანში მოსაზღვრე ხაზის დასაცავად მეთვალყურეობას, მილიციის საშუალებით.

§ 3.

საზღვრების დამცველ მილიციის თანამშრომელთა მოქმედების საკონტროლოთ შექმნილ უნდა იქნას ყოველ სამაზრო აღმასკომებთან განსაკუთრებული საკანტროლო კომისიები შემდეგი შემადგენლობით: საქ. საგანგებო კომისიის და განსაკუთრებულ განყოფილების წარმომადგენელთაგან შემდგარი სათანადო მოსაზღვრე აღმასკომის პასუხის მგებელ წარმომადგენლის თავმჯდომარეობით.

§ 4.

განსაკუთრებული საკონტროლო სამეულები საერთო წესის მიხედვით ამ დარგში ექვემდებარება უშუალოდ სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარეს და მოქმედობს მის პირდაპირ ხელმძღვანელობის ქვეშ.

§ 5.

თბილის ბაქოს რკინის გზის ხაზზე პოილის ხიდთან და თბილის ერევნის რკინის გზის ხაზზე სად. სადახლოში საზღვრების მეთვალყურეობა ევალება ს. ს. ს. რ. რკინის გზის მილიციას.

§ 6.

რკინის გზის მილიციის თანამშრომელთა მოქმედებათა მეთვალყურეობა ევალება საქ. ცენტროევაკს, თავიანთ დროებით რწმუნებულების სახით, რომელნიც ინიშნებიან საქ. ცენტროევაკის გამგის მიერ.

§ 7.

დანარჩენ მოსაზღვრე რკინის გზის ადგილებში მილიციის თანამშრომელთა მოქმედების მეთვალყურეობა ევალება სათანადო სამაზრო აღმასკომებს, ბათუმში-კი—რწმუნებულს, რომელიც დაინიშნება აჭარისტანის სახალხო კომისართა საბჭოს განკარგულებით.

§ 8.

ფაქტიურ კონტროლის უფრო მიზანშეწონილად განსახორციელებლად რკინის გზის ხაზზე, რკინის გზის მილიციის უფროსი ამიერ კავკასიის რკინის გზათა სამმართველოსთან შეთანხმებით აწესებს ადგილებს (პუნქტებს) სადაც უნდა შეჩერებულ იქნას მატარებელი.

§ 9.

საზღვრების დამცველ მილიციის თანამშრომელთა დანიშნულებაა დაუბრკოლებლივ შემოუშვას საქართველოში:

1) სამხედრო ნაწილების მცირე გუნდები უფროსის თანხლებით მომავალნი.

2) მოსამსახურენი, სამსახურის საქმეებზე გაგზავნილნი, ან შვებულებაში ყოფილნი, რომელთაც ექნებათ თან მანდატები საგუბერნიო აღმასკომების ან სამმართველოების და სამხედრო ნაწილების უფროსებისაგან მიცემული მათივე ხელის მოწერით.

3) ის პირნი, რომელნიც მოდიან სავაჭრო მიზნით და თან აქვთ მანდატი ხელმოწერილი საგუბერნიო აღმასკომის თავმჯდომარის მიერ.

4) საქართველოში დაბრუნებული საქ. ს. ს. რ. მოქალაქენი.

5) განსაკუთრებულ შემთხვევაში, როგორც საქართველოში ისე საქართველოს გზით (ტრანზიტით) შეიძლება გაშვებულ იქნან ლტოლვილნი, ინვალიდები და მუშები ცალკე ჯგუფებით მიმავალნი, თუ ექნებათ თან დაწვრილებითი სიები საქ. ცენტროევაკის მიერ შემოწმებული და ვიზა დასმული, რომლის საშუალებით უფლება ეძლევათ მათ საქართველოში შემოსვლისა.

§ 10.

წინა პარაგრაფის მე 5 მუხლში მოხსენებული დაწვრილებითი სიები წინასწარ ეგზავნება საქართველოს ცენტროევაკს იმ საგუბერნიო აღმასკომების მიერ საიდანაც სურთ წამოსვლა ამა თუ იმ კონტინგენტებს. სიებს თან უნდა ახლდეს მიმოწერა სათანადო მოტივებით დასაბუთებული. საქართველოს ცენტროევაკი აღნიშნულ სიების გადათვალიერებისას შეუთანხმებს რა თავის მოქმედებებს დაინტერესებულ უწყებებს ან წარმომადგენლობებს, ასვამს აღნიშნულ სიაზე სათანადო ვიზას, რის შემდეგ სიები იგზავნება დანიშნულებისამებრ.

§ 11.

იმ პირებმა, რომელნიც სცხოვრობენ საქართველოს ტერიტორიაზე და რომელთაც სურთ გამოიწერონ მათთან თავიანთი ნათესავები იმ შემთხვევაში თუ სურთ მათი, თავიანთ მზრუნველობის ქვეშ აყვანა, უნდა აღძრან სათანადო შუამდგომლობა საქ. ცენტროევაკის წინაშე; თუ ასეთი შუამდგომლობა დაკმაყოფილებულ იქნება, მთხოვნელებს საქართველოს ცენტროევაკის მიერ ეძლევა მოწმობა მათი ნათესავების საქართველოში შემოსვლისა, რომელიც უნდა გადაეგზავნოს მთხოვნელის მიერ საქართველოში შემოსვლის მოსურნეს.

§ 12.

დანარჩენი პირები, რომელთა შესახებ არ ყოფილა ლაპარაკი ამ ინსტრუქციაში, არავითარ შემთხვევაში არ იქნებიან შემოშვებული საქართველოში და თუ ასეთები მოადგებიან საქ. საზღვრებს, დაბრუნებულ უნდა იქნან უკანვე დაუყონებლივ.

§ 13.

მოსაზღვრე აღმასკომები და რკინის გზის მილიციის უფროსი მოვალენი არიან ამცნონ საქ. ცენტროევაკს ლტოლვილთა ყოველგვარი მოძრაობა ანუ შეჯგუფება მათ უბნების ფარგლებში მომხდარი: ის ადგილი საიდანაც არიან მოსულნი ესა თუ ის ჯგუფები ლტოლვილებისა, რიცხვი მამაკაცების, დედაკაცების, ბავშვების 16 წლამდის, მოხუცების 60 წელზე ზევით და ინვალიდების და მათი ნაციონალობა.

§ 14.

ყაზახის მაზრის ქუჩად მავალ მცხოვრებლებს უფლება აქვთ როგორც საქართველოდან დაუბრკოლებლივ შემოსვლა-გამოსვლისა თუ კი ექნებათ თან სათანადო საბუთები.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი **გეგეჭკორი.**

საქმეთა მმართველი **ჩიქოვანი.**

ცენტროევაკის გამგე **კაკაბაძე.**

სარედაქციო კოლეგია

კომუნისტური ახალგაზრდობის ყრილობისათვის

ს. ა. კ. კ. ყველა ორგანიზაციებს და წევრებს

ს. ა. კ. კ. ცეკას გადაწყვეტილების თანახმად მე-2 ყრილობა გაიხსნება 5 ივნისს 1922 წ.

დღის წესრიგი:

1) საერთაშორისო და შინაური მდგომარეობა საბჭოთა ფედერაციის.
2) ს. ა. კ. კ. ცეკას ანგარიში.
3) ს. ა. კ. კ. ცენტრალურ გამწმენდ კომისიის მოხსენება.
4) კავშირის აღმშენებლობა ახალ პირობებში.
5) მუშათა ახალგაზრდობის მდგომარეობა და მისი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება.
6) სახალხო განათლების კომისარიატის მოხსენება.
7) ცეკას არჩევნები.
8) სარევიზიო კომისიის არჩევნები.
9) დელეგატების არჩევა რ. ა. კ. პ. კავკასიის ყრილობისათვის.

შენიშვნა: ყრილობაზე იქნება არჩეული სექციები: 1) საორგანიზაციო, 2) სააგიტაციო საპროპაგანდო და 3) ეკონომიურ-უფლებრივი.

დელეგატები აირჩევიან რაიონულ კონფერენციებზე. წარმომადგენლობითი ნორმა: 100 ნამდვილი წევრი ა. კ. კ. აგზავნის ერთს (1) დელეგატს.

შენიშვნა: 1 თუ რაიონში ითვლება ასი წევრზე ნაკლები—75-დე მას აქვს უფლება გამოგზავნოს ერთი (1) დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით.

შენიშვნა: 2. თუ რაიონში ითვლება—75 წევრზე ნაკლები—მაშინ ერთდებიან რამდენიმე რაიონები და ერთად აგზავნიან დელეგატებს.

დელეგატები სათათბირო ხმით კონფერენციაში არ იქნებიან დაშვებულნი. იმ მაზრებში, სადაც უკვე იყო სამაზრო კონფერენცია და არჩეულია დელეგატები, მათზე ეს წესი არ ვრცელდება. გამონაკლისს შეადგენს გორის მაზრა, სადაც კონფერენცია მოწვეულია 10 მაისს, და აფხაზეთის საოლქო კომიტეტი, რომელსაც წინადადება ეძლევა აირჩიოს დელეგატები ნორმის მიხედვით.

სამაზრო კომიტეტებს წინადადება ეძლევათ, არ გამოგზავნონ დელეგატები სათათბირო ხმით, წინააღმდეგ შემთხვევაში ცეკა არ მიიღებს ასეთებს მხედველობაში, და იქნებიან უკანვე გაგზავნილნი ცეკას დაუხმარებლად.

კომუნისტური სალამით.

ა. კ. კ. ცეკას მდივანი: **დევდარიანი.**

ც. კ. საორგანიზაციო საინსტრუქტორო განყ. გამგე **ოკუჯავა.**

გაზეთის ტრესტის მთავარ

კანტორისაგან

1 მაისიდან გაზეთის ტრესტის მიერ გახსნილია კიოსკი ტფილისის სადგურზე

შეუდგნენ კიოსკების მოწყობას ამიერ-კავკასიის რკინის გზის მთელ ლიანდაგზე.

კიოსკებში გაიყიდება გაზეთები ამიერ-კავკასიის და რუსეთის საბ. ფ. ს. რესპუბლიკისა და აგრეთვე ყველა დარგის წიგნები. საწერი და საფოსტო მასალები.

განცხადება

მიწად-მოქმედების კომისარიატის მიწათ-მოწყობის განყოფილება

საყურადღებოდ ყველა მესაქონლეებისა, რომელნიც სარგებლობენ საძოვრებით, ამით აცხადებს, რომ მიმდინარე 1922 წლიდან არის დაწესებული ფულით გადასახადი საძოვრებზე, მიხედვით კატეგორიისა და სივრცისა საძოვრის ნაკვეთში სასარგებლო მიწისა შემდეგის ანგარიშით: ერთი დესეტინა ზაფხულის საძოვრისა—პირველი ხარისხისა 75.000 მან.,—მეორე ხარისხისა 50.000 მანეთი და მესამე—30.000 მანეთი.

ფული უნდა იყოს შემოტანილი მიწათ მოწყობის საძოვრების ქვე-განყოფილებაში, ან მის აგენტებს (სასამართლოს ქუჩა, № 32) მაისის თვის განმავლობაში. ფულის გადამხდელს მიეცემა მანდატი საძოვრებით ხელშეუხებელ სარგებლობაზე.

(3—2)